WFD CSD CONSULTING UKaid from the British people

საქართველოში კლიმატის ცვლილების და გარემოს დაცვის სფეროში მომუშავე სამოქალაქო საზოგადოების და სათემო ორგანიზაციების გამოწვევების, **საჭიროებების და განვითარების შესაძლებლობების შეფასება**

საქართველოში კლიმატის ცვლილების და გარემოს დაცვის სფეროში მომუშავე სამოქალაქო საზოგადოების და სათემო ორგანიზაციების გამოწვევების, **საჭიროებების და განვითარების შესაძლებლობების შეფასება**

დოკუმენტი მომზადდა სტრატეგიის და განვითარების ცენტრის (CSD) მიერ, ვესტმინსტერის დემოკრატიის ფონდის (WFD) დაკვეთით. აღნიშნულ კვლევაში გამოთქმული მოსაზრებები შესაძლებელია არ ასახავდეს გაერთიანებული სამეფოს მთავრობის და ვესტმინსტერის დემოკრატიის ფონდის მოსაზრებებს.

დოკუმენტი მომზადებულია გაერთიანებული სამეფოს მთავრობის ფინანსური მხარდაჭერით, მიმდინარე პროგრამის "გარემოს დაცვის, კლიმატის ცვლილებისადმი მედეგობის და დემოკრატიული მდგრადობის ხელშეწყობა საქართველოში" ფარგლებში.

მიმოხილვა

საქართველოში **კლიმატის ცვლილების** და **გარემოს დაცვის** საკითხებზე მომუშავე **სამოქალაქო საზოგადოების** და **სათემო ორგანიზაციების** გამოწვევების და საჭიროებების შესწავლის მიზნით, სტრატეგიის და განვითარების ცენტრის მიერ შეთავაზებული ღონისძიებები **სამაგიდე კვლევასთან** ერთად, ითვალისწინებდა მონაცემთა შეგროვების ისეთ **თვისებრივ მეთოდს** როგორიც არის **სიღრმისეული ინტერვიუების ჩატარება კლიმატის ცვლილების და გარემოს დაცვის თემატურ ექსპერტებთან, არასამთავრობო სექტორის (სამოქალაქო საზოგადოების და სათემო ორგანიზაციების)** და **უნივერსიტეტების წარმომადგენლებთან.** განხორციელებული კვლევის ფარგლებში, სტრატეგიის და განვითარების ცენტრმა თემატური სამოქალაქო საზოგადოების და სათემო ორგანიზაციების შესახებ არსებულ **სტატისტიკასთან დაკავშირებული პრობლემის შეფასებასთან ერთად,** მოახდინა ისეთი **გამოწვევების** და **საჭიროებების იდენტიფიცირება,** რომლებიც დაკავშირებულია **ორგანიზაციებს შორის აღქმულ თემატური ინტერესის ნაკლებობასთან, ოპერაციულ სირთულეებთან, დონორთან ურთიერთობასთან** და **ფინანსების მოძიებასთან.** გამოწვევების და საჭიროებების იდენტიფიცირებამ საშუალება მისცა სტრატეგიის და განვითარების ცენტრის კვლევით გუნდს წარმოედგინა შესწავლილი ერთეულების გამოცდილებაზე მორგებული რეკომენდაციები, რომლებიც ითვალისწინებს მათ **ხელთ არსებულ რესურსს** და მიმართულია **ორგანიზაციების პროდუქტიული მუშაობის გაუმჯობესებისაკენ.**

კვლევის შესახებ

სტრატეგიის და განვითარების ცენტრმა (CSD), ვესტმინსტერის ფონდის დაკვეთით და გაერთიანებული სამეფოს მთავრობის (UKaid) ფინანსური მხარდაჭერით, 2022 წლის სექტემბერი-დეკემბრის პერიოდში ჩაატარა თვისებრივი კვლევა საქართველოში კლიმატის ცვლილებით და გარემოს დაცვის სფეროში მომუშავე სამოქალაქო საზოგადოების და სათემო ორგანიზაციების გამოწვევების, საჭიროებების და განვითარების შესაძლებლობების შესახებ, რომელიც მიზნად ისახავდა სამაგიდე კვლევის და საველე სამუშაოების (კერძოდ, თემატურ ექსპერტებთან (7), არასამთავრობო სექტორის (12) და უნივერსიტეტების (4) წარმომადგენლებთან ჩატარებული სიღრმისეული ინტერვიუები) ფარგლებში მოპოვებულ მონაცემებზე დაყრდნობით შესაბამისი შეფასებების და რეკომენდაციების წარმოდგენას. წინამდებარე დოკუმენტის მიზანს დაინტერესებული მხარეებისთვის კვლევის შედეგების გაცნობა წარმოადგენს.

სტრატეგიის და განვითარების ცენტრი მადლობას უხდის კვლევაში ჩართულ ყველა პირს, მონაწილეობისათვის

სარჩევი

აბრევიატურების ნუსხა 5

1. შესავალი 6

2. კვლევის მეთოდოლოგიის შესახებ 8

3. კლიმატის ცვლილების და გარემოს დაცვის სფეროში მომუშავე სამოქალაქო საზოგადოების და სათემო ორგანიზაციების აქტივობის შეფასება საქართველოში 11

4. საქართველოში კლიმატის ცვლილების და გარემოს დაცვის სფეროში მომუშავე სამოქალაქო საზოგადოების და სათემო ორგანიზაციების გამოწვევების და საჭიროებების შეფასება 14

4.1 კლიმატის ცვლილების და გარემოს დაცვის საკითხების მიმართ სამოქალაქო საზოგადოების და სათემო ორგანიზაციებს შორის აღქმული ინტერესის ნაკლებობით განპირობებული გამოწვევები 15

4.2 ოპერირების ხელისშემშლელი ფაქტორები 18

4.3 (პოტენციურ) დონორთან ურთიერთობისას შექმნილი გამოწვევები 21

4.4 ფინანსური გამოწვევები 22

5. რეკომენდაციები საქართველოში კლიმატის ცვლილების და გარემოს დაცვის სფეროში მომუშავე სამოქალაქო საზოგადოების და სათემო ორგანიზაციების ეფექტიანი ოპერირებისთვის 24

6. დასკვნა 28

გამოყენებული მასალები 29

დანართები 30

აბრევიატურების ნუსხა

BUR - განახლებული ორწლიური ანგარიში

UNCBD - გაეროს ბიომრავალფეროვნების კონვენცია

UNFCCC - გაეროს კლიმატის ცვლილების ჩარჩო კონვენცია

UNCDD - გაეროს გაუდაბნოებასთან ბრძოლის კონვენცია

NDC - ეროვნულ დონეზე განსაზღვრული წვლილი

1. შესავალი

საზოგადოების მიერ კლიმატის ცვლილების და გარემოს დაცვის საკითხების შესახებ ინფორმაციაზე წვდომის მიღების პროცესში, თემატური სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციები ერთგვარ ხიდს წარმოადგენენ კვლევით ინსტიტუტებსა და საზოგადოებას შორის. თემატურ ადვოკატირების ორგანიზაციებს შესაძლებლობა აქვთ მოწყვლადი ჯგუფების კლიმატის ცვლილებასა და გარემოს დაცვასთან დაკავშირებული მოთხოვნები, საჭიროებები და გამოწვევები პოლიტიკურ დღის წესრიგში დააყენონ. აღნიშნული ორგანიზაციების მიერ ანგარიშვალდებულების პრინციპების მხარდაჭერა ხელს უწყობს სხვადასხვა ტიპის აქტორების ხარისხიან და გამჭვირვალე პოლიტიკურ ჩართულობას. ამასთანავე, სამოქალაქო საზოგადოების და სათემო ორგანიზაციების მაღალი ჩართულობა ხელს უწყობს სხვადასხვა ინსტიტუტებს შორის კოორდინაციას როგორც ადგილობრივ და ეროვნულ, ისე - რეგიონულ და საერთაშორისო დონეებზე. შესაბამისად, კლიმატის ცვლილების და გარემოსდაცვითი თანამედროვე გამოწვევების ფონზე და საპასუხო ძალისხმევის დაგეგმვის, განხორციელების და მონიტორინგის პირობებში, განსაკუთრებულად მნიშვნელოვანია ძლიერი სამოქალაქო საზოგადოებისა და სათემო ორგანიზაციები. საქართველოში კლიმატის ცვლილებასა და გარემოს დაცვასთან დაკავშირებული საკითხების მიმართ სამოქალაქო საზოგადოების და სათემო ორგანიზაციების ინტერესი XX საუკუნის 80-90-იან წლებში, აღნიშნული სამუშაო მიმართულებით საერთაშორისო საზოგადოების დაინტერესებისთანავე გაჩნდა. საგულისხმოა, ეროვნულ დონეზე მწვანეთა პარტიის ჩამოყალიბება 1989 წელს, რომელიც ევროპული მწვანეთა მოძრაობებისაგან განსხვავებით, ყურადღებას მხოლოდ გარემოსდაცვით საკითხებზე ამახვილებდა. აღნიშნულმა პარტიამ არამხოლოდ გარემოსდაცვითი გამოწვევების ეროვნულ დონეზე აქტუალიზაციას შეუწყო ხელი, არამედ მოახერხა საპარლამენტო მანდატის მოპოვება 1992 წელს და გაწევრიანებული იყო მმართველ კოალიციაში 1995 წელს.[1] საქართველოს 30-წლიანმა აქტიურობამ, ერთის მხრივ, ჩართულობა ისეთ საერთაშორისო ინიციატივებში, როგორებიც არის **გაეროს კონვენციები ბიომრავალფეროვნების (UNCBD), კლიმატის ცვლილების ჩარჩო (UNFCCC)** და **გაუდაბნოებასთან ბრძოლის შესახებ (UNCDD), „გარემოსდაცვით საკითხებთან დაკავშირებული ინფორმაციის ხელმისაწვდომობის, გადაწყვეტილების მიღების პროცესში საზოგადოების მონაწილეობისა და ამ სფეროში მართლმსაჯულების საკითხებზე ხელმისაწვდომობის შესახებ" (ორჰუსის კონვენცია), კიოტოს ოქმი/პროტოკოლი, ბალის გზამკვლევი, ევროკავშირის ინიციატივა - მერების შეთანხმება, პარიზის შეთანხმება, ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულება,** ხოლო, მეორე მხრივ, - **ეროვნულ დონეზე წინ გადადგმული ნაბიჯები, რომელიც ახალი თემატური ინსტიტუტების ჩამოყალიბებას და არსებულის შესაძლებლობების საერთაშორისო რეკომენდაციების მიხედვით გაძლიერებას, თემატური საკანონმდებლო ჩარჩოს შექმნას და იმპლემენტაციას გულისხმობს, დადებითად აისახა კლიმატის ცვლილების და გარემოსდაცვით პოლიტიკაში არასამთავრობო სექტორის მონაწილეობაზე.** არასამთავრობო ორგანიზაციები სხვადასხვა დროს როგორც საკონსულტაციო მონაწილეობას იღებდნენ, ისე უშუალოდ მონაწილეობდნენ ისეთი დოკუმენტების შედგენაში, როგორებიც არის **საქართველოს ეროვნული შეტყობინებები, განახლებული ორწლიური ანგარიში**

1 ჰაინრიჰ ბიოლის ფონდი (2013). საქართველო: მწვანე პოლიტიკის ისტორია. ხელმისაწვდომია: https://ge.boell.org/sites/default/files/mcvaneebi_160x230mm.pdf

(BUR), ეროვნულ დონეზე განსაზღვრული წვლილი (NDC), გარემოს დაცვის შესახებ კანონი, გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსი და სხვა. თუმცა, მიუხედავად არასამთავრობო სექტორის მზარდი ინტერესის და ჩართულობისა კლიმატის ცვლილების და გარემოს დაცვის პოლიტიკის განვითარებაში, თემატური სამოქალაქო საზოგადოების და სათემო ორგანიზაციების[2] ოპერირება საქართველოში ჯერ კიდევ არაერთი გამოწვევის წინაშე დგას.

წინამდებარე დოკუმენტის მიზანია, **სამაგიდე კვლევის** და **საველე სამუშაოების შედეგად მოპოვებულ მონაცემებზე დაყრდნობით, მოახდინოს საქართველოში არსებული თემატური სამოქალაქო საზოგადოების** და **სათემო ორგანიზაციების გამოწვევების** და **საჭიროებების იდენტიფიკაცია,** რაც საშუალებას მისცემს კვლევით გუნდს **წარმოადგინოს სამიზნე ჯგუფზე მორგებული, მუშაობის ეფექტიანობის გაზრდისაკენ მიმართული რეკომენდაციები.**

2 **შენიშვნა[1] :** შემდეგ მოხსენიებული როგორც „სამიზნე ჯგუფი“

2. კვლევის მეთოდოლოგია

კვლევის მიზანი - **შეაფასოს საქართველოში კლიმატის ცვლილების და გარემოს დაცვის სფეროში მომუშავე სამოქალაქო საზოგადოების და სათემო ორგანიზაციების წინაშე არსებული გამოწვევები და წარმოადგინოს მათ გამოცდილებაზე მორგებული რეკომენდაციები,** ცნობს აღნიშნული გამოწვევების და საჭიროებების კომპლექსურ ბუნებას. სამიზნე ჯგუფის ოპერაციული გამოწვევების და საჭიროებების შესწავლის ფარგლებში, წინამდებარე კვლევა შემდეგ ამოცანებს გულისხმობს:

1. საქართველოში კლიმატის ცვლილებით და გარემოს დაცვის სფეროში მომუშავე სამოქალაქო საზოგადოების და სათემო ორგანიზაციების (როგორც სამიზნე ჯგუფის) იდენტიფიცირება.
2. იდენტიფიცირებული სამიზნე ჯგუფის წინაშე არსებული გამოწვევების და საჭიროებების კლასიფიკაცია და მათი დეტალური ანალიზი.
3. შესწავლილ სამიზნე ჯგუფების გამოცდილებაზე დაყრდნობით, რეკომენდაციების წარმოდგენა, რომლებიც მიზნად ისახავს აღნიშნული ერთეულების ოპერირების ეფექტიანობის გაზრდას.

საკვლევ კითხვაზე - **რა ძირითადი გამოწვევების და საჭიროებების წინაშე დგანან საქართველოში კლიმატის ცვლილების და გარემოს დაცვის სფეროში მომუშავე სამოქალაქო საზოგადოების და სათემო ორგანიზაციები?** - პასუხის გაცემის მიზნით, სტრატეგიის და განვითარების ცენტრის გუნდმა განახორციელა პროექტი, რომელიც ითვალისწინებდა, ერთი მხრივ, სამაგიდე კვლევის, ხოლო, მეორე მხრივ, მონაცემთა შეგროვების თვისებრივი მეთოდების სხვადასხვა კომპონენტებს.

[სამაგიდე კვლევის შესახებ]

საქართველოში კლიმატის ცვლილების და გარემოს დაცვის სფეროში მომუშავე სამოქალაქო საზოგადოების და სათემო ორგანიზაციების გამოწვევების და საჭიროებების შეფასების ფარგლებში, სტრატეგიის და განვითარების ცენტრის მიერ წარმოდგენილი წინამდებარე კვლევა შესაბამისი მეორადი მონაცემების თვისებრივ შინაარსობრივ შესწავლას (ე.წ კონტენტ-ანალიზს) ითვალისწინებს. სტრატეგიის და განვითარების ცენტრის კვლევითი გუნდი სამიზნე ჯგუფის თემატური აქტივობის შესწავლის მიზნით, დეტალურად გაეცნო ისეთ ინტერნეტპლატფორმებზე არსებულ მონაცემებს (ითვალისწინებს აკადემიურ ლიტერატურასაც), როგორებიც არის - JSTOR, Google Scholar, Microsoft Academic, ERIC, Semantic Scholar, BASE და Core. მეორადი მონაცემების თვისებრივი შესწავლის ფარგლებში, გუნდი აქტიურად ეყრდნობოდა **საერთაშორისო ხელშეკრულებების ტექსტებს - გაეროს კონვენციებს ბიომრავალფეროვნების (UNCBD), კლიმატის ცვლილების ჩარჩო (UNFCCC) და გაუდაბნოებასთან ბრძოლის შესახებ (UNCDD), ორჰუსის კონვენციას, კიოტოს პროტოკოლს, ბალის გზამკვლევს, მერების შეთანხმებას, პარიზის შეთანხმებას და ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულებას.** სამიზნე ჯგუფების **ჩართულობის** შესახებ არსებულ როგორც საერთაშორისო, ისე - ადგილობრივ **შეფასებებთან გაცნობასთან** ერთად, კვლევითმა გუნდმა, **საქართველოს**

საკანონმდებლო მაცნეზე განთავსებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით, შეისწავლა სამიზნე ჯგუფის წარმომადგენლებისთვის, კანონით უზრუნველყოფილი შესაძლებლობები.

სტრატეგიის და განვითარების ცენტრი წინამდებარე დოკუმენტთან ერთად, **დანართის სახით წარმოდგენილია სამაგიდე კვლევის ანგარიში,** რომელიც მეორადი მონაცემების შინაარსობრივი შესწავლის ფარგლებში **22 წყაროს** ანალიზს ეყრდნობა.

[პირველადი მონაცემების შეგროვების შესახებ]

სტრატეგიის და განვითარების ცენტრის კვლევითი გუნდის მიერ პირველადი მონაცემების შეგროვების პროცესი გულისხმობდა **სიღრმისეულ ინტერვიუებს კლიმატის ცვლილების და გარემოს დაცვის თემატურ ექსპერტებთან, არასამთავრობო სექტორის და უნივერსიტეტების წარმომადგენლებთან.** ისეთი შემზღუდველი ფაქტორების გამო, როგორიც არის რესპონდენტების ფიზიკური არახელმისაწვდომობა, პროექტის ბიუჯეტთან დაკავშირებული შეზღუდვები და მისი შემჭიდროებულ ვადებში განხორციელება, პირველადი მონაცემების შეგროვების ფარგლებში სტრატეგიის და განვითარების ცენტრის კვლევითმა გუნდმა სიღრმისეული ინტერვიუები ონლაინ, Zoom-ის პლატფორმაზე ჩაატარა (იხ. ცხრილი 1).

ცხრილი 1. ნახევრად სტრუქტურირებული ინტერვიუების რესპონდენტების განაწილება

რესპონდენტი ერთეულის ტიპი	**რესპონდენტების რაოდენობა**
1. ექსპერტი კლიმატის ცვლილების საკითხებში	4
2. ექსპერტი გარემოსდაცვით საკითხებში	3
3. თბილისში ბაზირებული არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენლები	5
4. რეგიონებში ბაზირებული არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები	7
4.1 სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციები	4
4.2 სათემო ორგანიზაციები	3
5. კლიმატის ცვლილების და გარემოს დაცვის მიმართულებით მომუშავე უნივერსიტეტი	4
5.1 ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი	1
5.2 ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი	1
5.3 თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკის საერთაშორისო სკოლა (ISET)	1
5.4 საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტი (GIPA)	1
	სულ: 23 რესპონდენტი

კვლევის ფარგლებში განხორციელებული ნახევრად სტრუქტურირებული ინტერვიუების **პოტენციური რესპონდენტების სიმცირის** და **არახელმისაწვდომობის გამო,** სტრატეგიის და განვითარების ცენტრის კვლევითი გუნდი შერჩევის **არაალბათურ დიზაინს დაეყრდნო. პროპორციულ-წილობით, მოხერხებულ და დანიშნულებითი შერჩევის დიზაინთან** ერთად, რესპონდენტების იდენტიფიცირების ფარგლებში კვლევითი გუნდი აქტიურად იყენებდა ე.წ **„თოვლის გუნდის" პრინციპს.**

შერჩევის დიზაინის ფარგლებში იდენტიფიცირებული რესპონდენტებისათვის, სტრატეგიის და განვითარების ცენტრის კვლევითმა გუნდმა წარმოადგინა **3 ტიპის კითხვარი** [1] კლიმატის ცვლილების და [2] გარემოსდაცვითი ექსპერტების, [3] უნივერსიტეტების / სამოქალაქო საზოგადოების და სათემო ორგანიზაციების წარმომადგენლებისთვის.

3. კლიმატის ცვლილების და გარემოს დაცვის სფეროში მომუშავე სამოქალაქო საზოგადოების და სათემო ორგანიზაციების აქტივობის შეფასება საქართველოში

მიუხედავად სამაგიდე კვლევის ფარგლებში შესწავლილი მეორადი მონაცემების წყაროებში სამიზნე ჯგუფების აქტიურად შეფასებისა,[3] სტრატეგიის და განვითარების ცენტრის კვლევითი გუნდი შესაბამის სტატისტიკასა და სიღრმისეული ინტერვიუების ფარგლებში გაზიარებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით მიიჩნევს, რომ **დღეს არსებული სტატისტიკა კლიმატის ცვლილების და გარემოსდაცვითი საკითხებით დაინტერესებული სამოქალაქო საზოგადოების და სათემო ორგანიზაციების შესახებ არასრულფასოვნად ასახავს რეალურ სურათს.** კვლევითმა გუნდმა შეისწავლა საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს **„2022 წლის ივნისის მდგომარეობის რეგისტრირებული არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული ორგანიზაციების ბაზა“** და CSOGEORGIA.ORG-ზე რეგისტრირებულ ორგანიზაციათა ნუსხა რომლებში ასახული სტატისტიკური მონაცემები **არამხოლოდ ერთმანეთთან წინააღმდეგობაში მოდიან,** არამედ ექსპერტების აზრით, **ქმნიან სამიზნე ჯგუფის სიმრავლის მცდარ წარმოდგენას** (იხ. ფიგურა 1, ფიგურა 2, ფიგურა 3).

ფიგურა 1. 2022 წლის ივნისის მდგომარეობით რეგისტრირებული არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული ორგანიზაციების ბაზა. წყარო: იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო



3 DecisionWare Group LLC (DWG) (2017). Enhancing Capacity For Low Emission Development Strategies (Ec-Leds) Clean Energy Program Georgia's Low Emission Development Strategy (Leds) Draft. გვ. 8 ხელმისაწვდომია: https://policy.asiapacificenergy.org/sites/default/files/Draft%20Georgia%27s%20Low%20Emission%20Development%20Strategy%20%28LEDS%29%20%28EN%29.pdf

ფიგურა 2. CSOGEORGIA.ORG-ზე რეგისტრირებული არასამთავრობო ორგანიზაციები.
წყარო: CSOGEORGIA.ORG



ფიგურა 3. CSOGEORGIA.ORG-ზე რეგისტრირებული არასამთავრობო ორგანიზაციების განაწილება რეგიონების მიხედვით. წყარო: CSOGEORGIA.ORG



საგულისხმოა, რომ ფიგურა 3-ზე ასახულ **173 თემატურ არასამთავრობო ორგანიზაციას** შორის, მხოლოდ **6 ორგანიზაცია (3.4%) წარმოადგენს ქალთა საინიციატივო ჯგუფებს,** ხოლო **21 - სხვადასხვა ტიპის ასოციაციაა (12%).**

სტრატეგიის და განვითარების ცენტრის კვლევითმა გუნდმა **განსაკუთრებული ყურადღება დაუთმო ექსპერტების მიერ გამოთქმულ მოსაზრებას,** რომლის მიხედვითაც **დღეს თემატური არასამთავრობო ორგანიზაციების შესახებ არსებული სტატისტიკა არ ასახავს რეალურ სურათს.** აღნიშნული ეჭვი გარკვეულწილად დადასტურდა **კვლევითი გუნდის მიერ რესპონდენტი სათემო და სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების იდენტიფიცირების პროცესშიც.** საგულისხმოა, რომ CSOGEORGIA.ORG-სა და 2022 წლის ივნისის მდგომარეობის რეგისტრირებული არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული ორგანიზაციების ბაზაში **წარმოდგენილი თემატური არასამთავრობო ორგანიზაციების უმრავლესობამ უარი თქვა ინტერვიუზე,** რის მიზეზადაც ორგანიზაციის მიერ **მუშაობის შეწყვეტა** ან **კლიმატის ცვლილების** და **გარემოს დაცვის მიმართულებით პროექტებზე მუშაობის მწირი გამოცდილება დაასახელა.** სტრატეგიის და განვითარების ცენტრის დასკვნით, **სხვა ქვემოთ ჩამოთვლილი გარემოებების გარდა აღნიშნული შეუსაბამობა სტატისტიკურ მონაცემებს და რეალურ სურათს შორის განპირობებულია ა(ა)იპ-ების რეგისტრირების გამარტივებული პროცედურებით საქართველოში.**

4. საქართველოში კლიმატის ცვლილების და გარემოს დაცვის სფეროში მომუშავე სამოქალაქო საზოგადოების და სათემო ორგანიზაციების გამოწვევების და საჭიროებების შეფასება

საქართველოში კლიმატის ცვლილების და გარემოს დაცვის სფეროში მომუშავე სამოქალაქო საზოგადოების და სათემო ორგანიზაციების გამოწვევების, საჭიროებების და განვითარების შესაძლებლობების სტრუქტურირებული შეფასების მიზნით, სტრატეგიის და განვითარების ცენტრის კვლევითი გუნდი აუცილებლად მიიჩნევს კვლევის ფარგლებში მოპოვებულ მონაცემებზე დაყრდნობით წარმოადგინოს აღნიშნული ერთეულების პირობითი კლასიფიკაცია.

სისტემატური კლასიფიკაციის საშუალებას იძლევა ორგანიზაციების საქმიანობის ტიპზე დაკვირვება. სიღრმისეული ინტერვიუების ფარგლებში რესპონდენტების მიერ გაზიარებული ინფორმაციის, შესაბამისი მეორადი და მესამეული წყაროების დამუშავების საფუძველზე, სტრატეგიის და განვითარების ცენტრი კლიმატის ცვლილების და გარემოს დაცვის მიმართულებებით მომუშავე სამოქალაქო საზოგადოების და სათემო ორგანიზაციებს მათი აქტივობის მიხედვით შემდეგი სახით ყოფს:

1. საკონსულტაციო მომსახურებასა და ადვოკატირებაზე ფოკუსირებული არასამთავრობო ორგანიზაციები მათი ექსპერტული რესურსის მეშვეობით ტექნიკური კონსულტაციის გაწევის მიზნით, ეხმარებიან საჯარო სექტორში არსებულ სხვადასხვა უწყებებს და სახელმწიფო ერთეულებს. აღნიშნული ტიპის ორგანიზაციები სხვადასხვა დროს მონაწილეობდნენ სტრატეგიული დანიშნულების დოკუმენტების შემუშავებაში (იხ. დანართი 1). სტრატეგიის და განვითარების ცენტრის მიერ ჩატარებული ინტერვიუების ფარგლებში მოპოვებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით, აღნიშნული ტიპის ორგანიზაციები, უმეტესწილად, რეგიონულ ორგანიზაციებთან შედარებით მეტ ფინანსურ და ადამიანურ რესურსს ფლობენ, რაც მათ ნაკლებად მოწყვლადს ქმნის ქვემოთ აღწერილ რესურსებთან დაკავშირებული გამოწვევების მიმართ. ხსენებული რესურსი აღნიშნულ ორგანიზაციებს ადვოკატირებაზე ორიენტირებული აქტივობების განხორციელების საშუალებასაც აძლევს.

2. სამოქალაქო საზოგადოების და სათემო ორგანიზაციების ადვოკატირებითი ფუნქცია გამოიკვეთა სტრატეგიის და განვითარების ცენტრის მიერ რეგიონული ორგანიზაციების წარმომადგენლებთან ჩატარებული ინტერვიუების ფარგლებში, რომლებიც ხაზს უსვამდნენ მათ სურვილს და გამოცდილებას ადგილობრივი ჯგუფების ინტერესების დაცვის შესახებ. ადვოკატირებით დაკავებული რესპონდენტი რეგიონული ორგანიზაციების წარმომადგენლებმა ინტერვიუების ფარგლებში ხაზი გაუსვეს მათ წინაშე არსებულ რესურსებთან დაკავშირებულ გამოწვევებს.

3. სტრატეგიის და განვითარების ცენტრის მიერ ე.წ Watchdog ტიპის ორგანიზაციების წარმომადგენლებთან ჩატარებული ინტერვიუების დროს გამოიკვეთა მათ წინაშე არსებული თანამშრომლობითი გამოწვევები. აღნიშნული ტიპის გამოწვევაზე საუბრისას

რესპონდენტები ხაზს უსვამდნენ რეგიონულ დონეზე საჯარო სექტორთან თანამშრომლობის სირთულეს.

4. კლიმატის ცვლილების და გარემოს დაცვის სფეროების სპეციფიკიდან გამომდინარე, **სამეცნიერო კვლევითი / ანალიტიკური ორგანიზაციები** (ე.წ Think-Tank-ები) გარდა კვლევითი და ანალიტიკური საქმიანობისა დაკავებული არიან ადვოკატირებით. ამ ტიპის ორგანიზაციები ნაკლებად მოწყვლადი არიან ტექნიკური ცოდნის მქონე ადამიანური რესურსით გამოწვეული პრობლემების მიმართ.

კლიმატის ცვლილების და გარემოს დაცვის მიმართულებით მომუშავე ორგანიზაციების კატეგორიზაციის თვალსაზრისით, საგულისხმოა, თბილისში და რეგიონებში ბაზირებული ორგანიზაციების განცალკევებაც.

სამაგიდე კვლევის და საველე სამუშაოების ფარგლებში სტრატეგიის და განვითარების ცენტრის მიერ შეგროვებულმა მონაცემებმა კვლევით გუნდს საშუალება მისცა კლიმატის ცვლილების და გარემოს დაცვის მიმართულებით მომუშავე სამოქალაქო საზოგადოების და სათემო ორგანიზაციების წინაშე არსებული გამოწვევები 4 კატეგორიაში გაერთიანებინა - **[1] კლიმატის ცვლილების და გარემოს დაცვის მიმართ ორგანიზაციებს შორის აღქმული ინტერესის ნაკლებობით განპირობებული გამოწვევები, [2] სამიზნე ჯგუფების ოპერირების ხელისშემშლელი ფაქტორები, [3] (პოტენციურ) დონორთან ურთიერთობის დროს შექმნილი და, [4] ფინანსური გამოწვევები.** მიუხედავად იმისა, რომ ხსენებული გამოწვევების ტიპი შეიძლება განსხვავდებოდეს ორგანიზაციების ზემოხსენებული კატეგორიების მიხედვით, წინამდებარე თავის მიზანია მოახდინოს აღნიშნულ კატეგორიებში გაერთიანებული სხვადასხვა გამოწვევის იდენტიფიცირება და შეაფასოს თითოეული მათგანი, რაც დაეხმარება კვლევით გუნდს სამიზნე ჯგუფის გამოცდილებაზე მორგებული რეკომენდაციების შემუშავებაში.

4.1 კლიმატის ცვლილების და გარემოს დაცვის საკითხების მიმართ სამოქალაქო საზოგადოების და სათემო ორგანიზაციებს შორის აღქმული ინტერესის ნაკლებობით განპირობებული გამოწვევები

სტრატეგიის და განვითარების ცენტრის მიერ სამაგიდე კვლევის ანგარიშის შემუშავების და კლიმატის ცვლილების, გარემოს დაცვის თემატურ ექსპერტებთან, სამოქალაქო საზოგადოების და სათემო ორგანიზაციების და უნივერსიტეტების წარმომადგენლებთან ჩატარებული სიღრმისეული ინტერვიუების შედეგად მოპოვებულმა მონაცემებმა საშუალება მისცა კვლევით გუნდს შეემუშავებინა სამოქალაქო საზოგადოების და სათემო ორგანიზაციების მიერ აღქმული თემატური ინტერესის ნაკლებობის სტრუქტურული მოდელი, რომელიც ასახავს რესპონდენტი არასამთავრობო ორგანიზაციების შეფასებით არსებულ თემატური ინტერესის ნაკლებობას კლიმატის ცვლილების და გარემოს დაცვის საკითხების მიმართ.[4] კვლევაში მონაწილე რესპონდენტებს შორის აღქმული თემატური ინტერესის

4 **შენიშვნა[3]:** მიუხედავად იმისა, რომ სტრატეგიის და განვითარების ცენტრი არ ეთანხმება თეზისს თემატური ინტერესის ნაკლებობის შესახებ, იგი აუცილებლად მიიჩნევს კვლევაში მონაწილე რესპონდენტებს შორის აღქმული ინტერესის ნაკლებობის შესახებ ინფორმაციის გაზიარებას.

ნაკლებობის ამსახველი მოდელი 5 აქტორს (საერთაშორისო საზოგადოებას, ხელისუფლებას, არასამთავრობო სექტორი, საზოგადოება და საერთაშორისო (და ადგილობრივი) დონორი) შორის აღქმულ ინტერესის ნაკლებობაზე ამახვილებს ყურადღებას (იხ. ფიგურა 4).

ფიგურა 4. კლიმატის ცვლილების და გარემოს დაცვის მიმართ სამოქალაქო საზოგადოების და სათემო ორგანიზაციებს შორის აღქმული ინტერესის ნაკლებობის სტრუქტურირებული მოდელი. წყარო: სტრატეგიის და განვითარების ცენტრი (CSD)


ხელისუფლების ინტერესის ნაკლებობა კლიმატის ცვლილების და გარემოსდაცვითი საკითხების მიმართ განსაკუთრებით დამახასიათებელია განვითარებადი ქვეყნებისთვის.
ზღუდავს მთავრობათაშორისი ინიციატივების რაოდენობას და განაპირობებს მათ მიმართ სკეპტიკურ დამოკიდებულებას
ზღუდავს ზოგადად საერთაშორისო ორგანიზაციების ჩართულობას ეროვნულ ინიციატივებში
ზღუდავს ზოგადად ეროვნული ინიციატივების ინტერესებს

სტრატეგიის და განვითარების ცენტრის კვლევითი გუნდის მიერ რესპონდენტებს შორის აღქმული ინტერესის ნაკლებობის შესახებ წარმოდგენილი მოდელის მიხედვით (იხ. ფიგურა 4), საერთაშორისო პოლიტიკურ დღის წესრიგში კლიმატის ცვლილების და გარემოსდაცვითი საკითხების მიმართ შედარებითი ინტერესის ნაკლებობა[5], ერთი მხრივ, ზღუდავს თემატური საერთაშორისო დონორების რაოდენობის მატებას გლობალურად, ხოლო, მეორე მხრივ, ნეგატიურად აისახება ქვეყნების ხელისუფლების ინტერესზე აღნიშნული საკითხების მიმართ, რაც შესაბამისად ზღუდავს სახელმწიფოების მთავრობათაშორის ინიციატივებში ჩართულობას და რიგ შემთხვევებში განაპირობებს სკეპტიკურ დამოკიდებულებას მსგავსი ინიციატივების მიმართ. რესპონდენტების აზრით, ხელისუფლების დაბალი ინტერესი კლიმატის ცვლილების და გარემოსდაცვითი საკითხების მიმართ განსაკუთრებით დამახასიათებელია განვითარებადი ქვეყნებისთვის, სადაც აღნიშნული პრობლემებისთვის რესურსის დათმობის საჭიროება ხშირად კითხვის ნიშნის ქვეშ დგას. ხელისუფლების ინტერესის ნაკლებობა, ერთი მხრივ, ნეგატიურად აისახება თემატური საერთაშორისო დონორის ინტერესზე აღნიშნული ქვეყნის მიმართ, ხოლო, მეორე მხრივ, ზღუდავს იმ ეროვნული დონის ინიციატივებს, რომლებიც სამოქალაქო საზოგადოების და სათემო ორგანიზაციების ჩართულობის გზით ზრდის საზოგადოების ცნობიერებას და თავად ადგილობრივი საზოგადოების ნდობას კლიმატის ცვლილების და გარემოს დაცვის მიმართულებით მომუშავე სამოქალაქო საზოგადოების და სათემო ორგანიზაციების მიმართ. ასევე, არასამთავრობო სექტორის დაბალი ინტერესი კლიმატის ცვლილების და გარემოსდაცვითი საკითხების მიმართ კიდევ უფრო ზღუდავს სამიზნე ჯგუფის მონაწილეობას შეზღუდული რაოდენობის საგრანტო კონკურსებში. სამიზნე ჯგუფში შემავალი სამოქალაქო საზოგადოების და სათემო ორგანიზაციის მონაწილეობაზე მოქმედებს საერთაშორისო დონორის დამოკიდებულებაც პოტენციური ადგილობრივი ბენეფიციარის მიმართ, რომელიც ზემოთ აღწერილი გარემოებების გამო შეიძლება არ სარგებლობდეს მაღალი საზოგადოებრივი ნდობით, რაც თავის მხრივ მოქმედებს პოტენციური დონორის კეთილგანწყობაზეც.

4.2 ოპერირების ხელისშემშლელი ფაქტორები

სტრატეგიის და განვითარების ცენტრის მიერ სამოქალაქო საზოგადოების და სათემო ორგანიზაციების წარმომადგენლებთან ჩატარებული ინტერვიუების ფარგლებში მოპოვებული მონაცემების საფუძველზე, კვლევითმა გუნდმა მოახდინა სამიზნე ჯგუფის წარმომადგენლების ოპერირებისთვის ხელისშემშლელი შემდეგი ძირითადი ფაქტორების იდენტიფიცირება:

- ორგანიზაციული განვითარების ხედვის / გეგმის / სტრატეგიის არარსებობა - ინტერვიუირებული სამოქალაქო საზოგადოების და სათემო ორგანიზაციების წარმომადგენლებმა უარყვეს მათ ორგანიზაციებში განვითარების ხედვის / გეგმის / სტრატეგიის ან სხვა სახის თემატური დოკუმენტის არსებობა, რომელიც რესპონდენტების შეფასებით, მათი სამოქალაქო საზოგადოების და სათემო ორგანიზაციისათვის არახელმისაწვდომ რესურსს მოითხოვს.

5 **შენიშვნა[4]:** სიღრმისეული ინტერვიუების ზოგიერთი რესპონდენტის ხაზგასმით, მიუხედავად კლიმატის ცვლილების და გარემოსდაცვითი საკითხების მიმართ ბოლო დროს გაზრდილი ინტერესისა, სადავოა აღნიშნული მიმართულებით არსებული გამოწვევების სხვა ტიპის გამოწვევებთან მიმართებით უპირატესობა გლობალურ პოლიტიკურ დღის წესრიგში.

- ამასთანავე, საგულისხმოა პასუხისმგებლობების და უფლებამოსილების დელეგირების საკითხი. ინტერვიუირებული სამოქალაქო საზოგადოების და სათემო ორგანიზაციების წარმომადგენლების უმრავლესობამ ხაზი გაუსვა მათი ერთეულის შიგნით პასუხისმგებლობების და უფლებამოსილების მკაფიო დანაწილების არ არსებობას. პასუხისმგებლობების და უფლებამოსილების დელეგირების არარსებობის მიზეზად რესპონდენტები მათ ორგანიზაციაში ადამიანური რესურსის სიმცირეს ასახელებდნენ. საგულისხმოა, რომ სტრატეგიის და განვითარების ცენტრის კვლევითი გუნდის მიერ ინტერვიუირებული (7 ორგანიზაცია) და დამატებით შესწავლილი (29 ორგანიზაცია) რეგიონული სამოქალაქო საზოგადოების და სათემო ორგანიზაციების (სულ, 36 ორგანიზაცია) უმრავლესობის (30 ორგანიზაცია) თანამშრომელთა რაოდენობა არ აღემატებოდა ექვს პიროვნებას (იხ. ფიგურა 5).

ფიგურა 5. ორგანიზაციების რაოდენობა (X ღერძი) მათში დასაქმებული თანამშრომლების (Y) რაოდენობის მიხედვით. წყარო: სტრატეგიის და განვითარების ცენტრი (CSD)



- თემატური ექსპერტების / კომპეტენტური პირების არ არსებობა ორგანიზაციებში - ადამიანური რესურსის სიმწირისათვის ხაზგასმასთან ერთად, რეგიონული სამოქალაქო საზოგადოების და სათემო ორგანიზაციის წარმომადგენლებმა ისაუბრეს რეგიონებში თემატური ექსპერტების სიმცირის შესახებაც. ინტერვიუირებულ ზოგიერთ რეგიონულ სამოქალაქო საზოგადოების და სათემო ორგანიზაციას არ ჰყავდა შესაბამისი პროფილის მქონე თანამშრომელი. შესწავლილი რეგიონული ორგანიზაციების წარმომადგენლების თქმით, მსგავსი თანამშრომლების ორგანიზაციაში არ ყოფნა, უბიძგებს მათ დაქირავებულ ექსპერტთან თანამშრომლობისკენ, რაც თავისთავად ზრდის ორგანიზაციის ხარჯებს.

- სამოქალაქო საზოგადოების და სათემო ორგანიზაციების ციფრული ცნობადობის საკითხი - სტრატეგიის და განვითარების ცენტრის კვლევითმა გუნდმა შეისწავლა CSOGEORGIA.ORG-ზე დარეგისტრირებული ზემოთ ხსენებული 173 ორგანიზაციის აქტივობა ინტერნეტსივრცეში. კვლევითი გუნდის მიერ დამუშავებული მონაცემები სამიზნე ჯგუფების მიერ ციფრული რესურსის არასათანადო გამოყენებაზე მიუთითებს, რაც თავის მხრივ აღნიშნული ორგანიზაციების არასათანადო ცნობადობას და მათ მიმართ დაბალ ნდობას განსაზღვრავს (იხ. ფიგურა 6).

ფიგურა 6. CSOGEORGIA.ORG-ზე რეგისტრირებული თემატური ორგანიზაციების



- ადგილობრივი კონკურენცია, როგორც ხელშემწყობი და ხელშემშლელი ფაქტორი - სტრატეგიის და განვითარების ცენტრის კვლევითი გუნდის მიერ ჩატარებული ნახევრად სტრუქტურირებული ინტერვიუების ფარგლებში სამიზნე ჯგუფის წარმომადგენლებმა და თემატურმა ექსპერტებმა შეაფასეს ადგილობრივი კონკურენცია, როგორც ორგანიზაციულ საქმიანობაზე გავლენის მქონე ფაქტორი. რეგიონული სამოქალაქო საზოგადოების და სათემო ორგანიზაციების წარმომადგენლების აზრით, გაზრდილი ადგილობრივი კონკურენცია არამხოლოდ ხელს შეუწყობს აღნიშნული ორგანიზაციის თვითგანვითარებას, არამედ დაეხმარება სხვა ორგანიზაციებთან თანამშრომლობის გზით პროექტების უკეთ განხორციელებაში. საგულისხმოა რესპონდენტი ექსპერტების მოსაზრება კონკურენციის შესახებ, რომლებიც მიიჩნევდნენ, რომ სამოქალაქო საზოგადოების და სათემო ორგანიზაციებისთვის შედარებით დიდი რესურსის მქონე, რეგიონებში დარეგისტრირებულ ა(ა)იპ სტატუსის მქონე სახელმწიფო ერთეულებთან კონკურენცია შემაფერხებელ ფაქტორს წარმოადგენს.

- ადგილობრივ თანამშრომლობასთან დაკავშირებული გამოწვევები - სტრატეგიის და განვითარების ცენტრის კვლევითმა გუნდმა შეისწავლა რეგიონული სამოქალაქო საზოგადოების და სათემო ორგანიზაციების თანამშრომლობის გამოცდილება რეგიონულ მერიებთან და მედიასაშუალებებთან. რესპონდენტების შეფასებით, მათი თანამშრომლობა აღნიშნულ ერთეულებთან შეზღუდულია ამ ერთეულების დაბალი ინტერესის გამო კლიმატის ცვლილების და გარემოსდაცვითი საკითხების მიმართ. საქართველოს სტრატეგიის და განვითარების ცენტრმა თანამშრომლობის შემთხვევების გაზიარებულ გამოცდილებაზე დაყრდნობით შეიმუშავა მოდელი, რომელიც აღნიშნულ ერთეულებს შორის მეტნაკლებად ეფექტიანი თანამშრომლობის გამოცდილებას ასახავს (იხ. ფიგურა 7).

ფიგურა 7. რეგიონულ დონეზე არსებული თანამშრომლობის მოდელი კლიმატის ცვლილების და გარემოსდაცვითი მიმართულებით. წყარო: სტრატეგიის და განვითარების ცენტრი (CSD)



4.3 (პოტენციურ) დონორთან ურთიერთობისას შექმნილი გამოწვევები

სტრატეგიის და განვითარების ცენტრის მიერ კვლევაში მონაწილე სამოქალაქო საზოგადოების და სათემო ორგანიზაციების დონორთან ინტერაქციის გამოცდილების შესწავლის ფარგლებში მიღებულ მონაცემებზე დაყრდნობით, კვლევითმა გუნდმა მოახდინა შემდეგი გამოწვევების იდენტიფიკაცია:

- ცნობიერების ნაკლებობა დონორის პრიორიტეტების შესახებ - სტრატეგიის და განვითარების ცენტრის კვლევითი გუნდისთვის გაზიარებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით, სამოქალაქო საზოგადოების და სათემო ორგანიზაციებისთვის დონორთან ინტერაქციის ხელისშემშლელ ფაქტორს აღნიშნული დონორის პრიორიტეტების შესახებ ცნობიერების დაბალი დონე წარმოადგენს. კვლევაში მონაწილე სამოქალაქო საზოგადოების და სათემო ორგანიზაციების წარმომადგენლებმა არ დაადასტურეს საგრანტო განაცხადის შევსების პროცესში დონორის პრიორიტეტების შესახებ დამატებითი ინფორმაციის მოძიების მცდელობა.
- დონორის ინფორმირებულობის დაბალი დონე ადგილობრივი კონტექსტის შესახებ - კვლევაში მონაწილე ორგანიზაციების წარმომადგენლებმა ისაუბრეს მათი დონორთან ინტერაქციის გამოცდილების შესახებ, რომლის ფარგლებშიც ამ უკანასკნელს [იგ. დონორი ორგანიზაცია] შეუსაბამო წარმოდგენები ჰქონდა პროექტის სხვადასხვა ასპექტის შესახებ, რაც რესპონდენტების შეფასებით, განპირობებული იყო ადგილობრივი კონტექსტის შესახებ ინფორმირებულობის დაბალი დონით.
- რეგიონული სამოქალაქო საზოგადოების და სათემო ორგანიზაციების მოქნილობა ცვალებადი გარემოებების მიმართ - კვლევაში მონაწილე სამოქალაქო საზოგადოების და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებმა გაიხსენეს დონორის მიერ პროექტის მიმდინარეობის დროს განსახორციელებელ აქტივობებში ცვლილებების შეტანის შემთხვევები. რესპონდენტების თქმით, მსგავსი ცვლილებები, ხშირ შემთხვევაში, რეგიონული ორგანიზაციების მხრიდან დამატებით რესურსს მოითხოვს, რაც მათთვის მეტწილად მიუწვდომელია.

- შეზღუდული გამჭვირვალობით და არასათანადო ანგარიშგებით განპირობებული გამოწვევები - კვლევაში მონაწილე თემატურმა ექსპერტებმა დააფიქსირეს მათი ეჭვი რეგიონულ სამოქალაქო საზოგადოების და სათემო ორგანიზაციებში გამჭვირვალობასა და ანგარიშგებასთან დაკავშირებული გამოწვევების შესახებ, რამაც შეიძლება დონორ ორგანიზაციებში პოტენციურ ბენეფიციარებთან ინტერაქციისას თავშეკავება გამოიწვიოს. საერთაშორისო დონორების ანგარიშგების სტანდარტის დაჭერის სირთულეს ხაზი გაუსვეს კვლევაში მონაწილე სამოქალაქო საზოგადოების და სათემო ორგანიზაციების წარმომადგენლებმაც.

4.4 ფინანსური გამოწვევები

ფინანსებთან დაკავშირებული გამოწვევების შესწავლის ფარგლებში სტრატეგიის და განვითარების ცენტრმა ყურადღება გაამახვილა თემატური სამოქალაქო საზოგადოების და სათემო ორგანიზაციების აღნიშნული მიმართულებით არსებულ გამოცდილებაზე. წინამდებარე პარაგრაფი განიხილავს ფინანსური კუთხით შესწავლილი არასამთავრობო ორგანიზაციების ხუთ ძირითად გამოწვევას:

- რეგიონულ ორგანიზაციებზე გაცემული გრანტების მცირე მოცულობა - კვლევით გუნდთან საუბრისას სამოქალაქო საზოგადოების და სათემო ორგანიზაციების წარმომადგენლებმა ხაზი გაუსვეს მათ მიერ წარსულში მიღებული გრანტების მოცულობის სიმცირეს, რაც მათ ხანგრძლივი ოპერირების საშუალებას არ აძლევს. საგულისხმოა, რომ სტრატეგიის და განვითარების ცენტრის მიერ შესწავლილ თემატურ სამოქალაქო საზოგადოების და სათემო ორგანიზაციებზე 14 სხვადასხვა პროექტზე გაცემული გრანტის საშუალო მოცულობა არ აღემატებოდა 15000$-ს (იხ. ფიგურა 8).

ფიგურა 8. ინტერვიუირებულ არასამთავრობო ორგანიზაციების პროექტებზე გაცემული გრანტების მოცულობა. წყარო: სტრატეგიის და განვითარების ცენტრი



- მოპოვებული გრანტის მართვასთან დაკავშირებით არსებული გამოწვევები - იმ არასამთავრობო ორგანიზაციებთან ინტერაქციისას, რომლებიც ახორციელებენ ქვე-გრანტირების პროგრამებს/პროექტებს, წარმომადგენლებმა ყურადღება გაამახვილეს მათ ბენეფიციარ რეგიონულ სამოქალაქო საზოგადოების და სათემო ორგანიზაციებში მიღებული გრანტის მართვასთან დაკავშირებით არსებულ გამოწვევებზე. სიღრმისეული ინტერვიუების რესპონდენტებმა აღნიშნეს, რომ მათ ორგანიზაციებს წარსულში მოუხდათ მათი ქვე-გრანტიორების დახმარება პროექტის ფინანსური მართვის ასპექტებში.

- პროექტის გაგრძელებასთან დაკავშირებით არსებული პრობლემები - სტრატეგიის და განვითარების ცენტრის კვლევითი გუნდის მიერ მოპოვებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით, კლიმატის ცვლილების და გარემოსდაცვითი მიმართულების სპეციფიკიდან გამომდინარე რეგიონულ ბენეფიციარ ორგანიზაციებს უჭირთ მოკლევადიანი (6-12 თვემდე) პროექტის ფარგლებში დონორისთვის პროექტის ღირებულების (შესრულებული შედეგების ეფექტიანობის) დემონსტრირება, რაც ხშირ შემთხვევაში, პროექტის დაფინანსების გაგრძელების წარუმატებელი მცდელობის საწინდარია.

- გრძელვადიანი ფინანსების (ე.წ საბაზო ფინანსების) მოპოვების საკითხი - სტრატეგიის და განვითარების ცენტრის კვლევითი გუნდის მიერ ჩატარებული სიღრმისეული ინტერვიუების ფარგლებში, თემატურმა ექსპერტებმა ისაუბრეს საბაზო ფინანსების (ე.წ Core Funding) მნიშვნელობაზე, რომლის არ არსებობაც განსაზღვრავს რეგიონული სამოქალაქო საზოგადოების და სათემო ორგანიზაციების „პროექტიდან პროექტამდე არსებობას“.

- ფინანსების მოძიების კომპეტენცია და გაწეული ძალისხმევა - სტრატეგიის და განვითარების ცენტრმა კვლევაში მონაწილე რეგიონული სამოქალაქო საზოგადოების და სათემო ორგანიზაციების წარმომადგენლებს ფინანსების მოძიებაზე გაწეული ძალისხმევის შესახებ დაუსვა კითხვები. რესპონდენტების მიერ გაზიარებული გამოცდილების თანახმად, დამატებითი ფინანსების მოსაძიებლად რეგიონული სამოქალაქო საზოგადოების და სათემო ორგანიზაციები უმეტესწილად შემოწირულობით სისტემებს ეყრდნობიან (ე.წ Crowd Funding, Community Fundraising, ინდივიდუალური შემოწირულობები და სხვა). საგულისხმოა, რომ სტრატეგიის და განვითარების ცენტრის მიერ ინტერვიუირებული არც ერთი რეგიონული სამოქალაქო საზოგადოების და სათემო ორგანიზაცია არ იცნობს (არ აქვს მათი გამოყენების გამოცდილება) დაფინანსების ისეთ ალტერნატიულ წყაროებს, როგორებიც არის - სამთავრობო გრანტები, კორპორაციული ფინანსირება, სამეცნიერო ფონდები, სახელმწიფო კონტრაქტები, სოციალური საწარმოები და სხვ.

5. რეკომენდაციები საქართველოში კლიმატის ცვლილების და გარემოს დაცვის სფეროში მომუშავე სამოქალაქო საზოგადოების და სათემო ორგანიზაციებისათვის

წინამდებარე პარაგრაფი განსაზღვრავს იმ რეკომენდაციებს, რომელიც დაეხმარება საქართველოში კლიმატის ცვლილების და გარემოს დაცვის სფეროში მომუშავე სამოქალაქო საზოგადოების და სათემო ორგანიზაციებს კვლევის ფარგლებში იდენტიფიცირებულ გამოწვევებთან გამკლავებაში. ქვემოთ წარმოდგენილი რეკომენდაციები ითვალისწინებს სამოქალაქო საზოგადოების და სათემო ორგანიზაციების წინაშე არსებულ სხვადასხვა შეზღუდვებს და მორგებულია მათ შესაძლებლობებსა და გარემოებებზე:

კვლევის ფარგლებში იდენტიფიცირებულ ორგანიზაციის ოპერირებისთვის ხელისშემშლელ ფაქტორებთან გამკლავების მიზნით, რეკომენდებულია:

- ორგანიზაციის განვითარების დოკუმენტირებული ხედვის / სტრატეგიის და შესაბამისი სამოქმედო გეგმის შემუშავებასთან ერთად (რომელიც ითვალისწინებს ორგანიზაციის მიზნების და ამოცანების მკაფიო განსაზღვრას) ორგანიზაციული სტრუქტურის შემუშავება მკაფიოდ განსაზღვრული პასუხისმგებლობებით და უფლებამოსილებებით. კლიმატის ცვლილების და გარემოს დაცვის სფეროში მომუშავე ორგანიზაციებს შესაძლებლობა აქვთ ჩაერთონ დონორების მიერ ორგანიზაციული განვითარების პროგრამებში.
- ადამიანური რესურსის დეფიციტთან გამკლავების მიზნით კლიმატის ცვლილების და გარემოს დაცვის სფეროში მომუშავე სამოქალაქო საზოგადოების და სათემო ორგანიზაციებისთვის რეკომენდებულია:

- <u>დისტანციური მუშაობის პრაქტიკის დანერგვა/წახალისება,</u> რაც აღნიშნულ ერთეულებს სხვა ლოკაციებიდან შესაბამისი კადრის მიზიდვის საშუალებას მისცემს; ორგანიზაციაში დისტანციურად დასაქმებული თბილისში მყოფი პერსონალი საშუალებას მისცემს რეგიონულ ორგანიზაციებს თბილისში ორგანიზებულ შეხვედრებზე დასწრების ფარგლებში დაზოგონ გაწეული ორგანიზაციული ხარჯები.
- <u>სტაჟირების პროგრამის (მათ შორის, დისტანციური) შემუშავება</u> კლიმატის ცვლილების და გარემოს დაცვის მიმართულებებით საგრძნობლად გაზრდის აღნიშნული ერთეულების წევრების რაოდენობას და გააძლიერებს მათ თანამშრომლობას თბილისში და რეგიონებში ბაზირებულ უნივერსიტეტებთან. ამასთანავე, რეგიონებიდან თბილისში წასული და რეგიონული უნივერსიტეტების სტუდენტების ჩართვა ორგანიზაციის სტაჟირების პროგრამებში ხელს შეუწყობს აღნიშნულ ორგანიზაციას და უნივერსიტეტებს შორის თანამშრომლობის გაღრმავებას.

ორგანიზაციის მიმართ ადგილობრივ დონეზე ნდობის ჩამოყალიბების მიზნით, რეკომენდებულია:

- მნიშვნელოვანია ორგანიზაციებმა შეიმუშაონ საკომუნიკაციო გეგმა კლიმატის ცვლილებასა და გარემოს დაცვასთან დაკავშირებული (არამარტო) მიზნების და ამოცანების შესახებ,რაც აღნიშნულ ორგანიზაციებს გამჭვირვალე კომუნიკაციის წარმოებაში დაეხმარება.
- რეგულარული საინფორმაციო შეხვედრების ჩატარება ადგილობრივი მოსახლეობის, თემის წარმომადგენლებთან.
- ადგილობრივი მოსახლეობისგან შემდგარი თემატური საკონსულტაციო ჯგუფების შექმნა და ადგილობრივი განვითარების ჯგუფებთან (LAG) თანამშრომლობა (ასეთის არსებობის შემთხვევაში).
- თემის ლიდერებთან (სასულიერო პირები, უხუცესები და სხვ) ურთიერთობის გაძლიერების მიზნით, შესაძლებლობის შემთხვევაში, მათი ჩართვა კლიმატის ცვლილების და გარემოს დაცვის სფეროში განხორციელებულ პროექტებში.
- ადგილობრივი მოსახლეობის წარმომადგენლების მიერ ორგანიზაციის შესახებ პოზიტიური უკუკავშირის შეგროვება და გასაჯაროება.
- თანამშრომლობის მემორანდუმის გაფორმება სასწავლო დაწესებულებებთან (სკოლებთან და უნივერსიტეტებთან) აქტიური კომუნიკაციისა და თანამშრომლობის მიზნით.
- რეგულარული საინფორმაციო შეხვედრების ჩატარება ორგანიზაციის საქმიანობის შესახებ კლიმატის ცვლილების და გარემოს დაცვის სფეროში პარტნიორი სკოლების მოსწავლეებთან და უნივერსიტეტების სტუდენტებთან.
- შესაბამისი რესურსის არსებობის შემთხვევაში კლიმატის ცვლილების და გარემოს დაცვის შესახებ კონკურსების და სტიპენდიების ორგანიზება სკოლის მოსწავლეებისა და სტუდენტებისათვის.

რეგიონულ დონეზე კლიმატის ცვლილების და გარემოს დაცვის სფეროებში თანამშრომლობის გაუმჯობესების მიზნით სამოქალაქო საზოგადოების და სათემო ორგანიზაციებისთვის რეკომენდებულია:

- ფიგურა 8-ზე წარმოდგენილი რეგიონული პროექტის იმპლემენტაციის დროს მორგებულ როლებზე დაყრდნობით, რეკომენდებულია ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმების გაფორმება სხვა არასამთავრობო ორგანიზაციებთან და ადგილობრივ მედიასაშუალებებთან, რაც, ერთი მხრივ, გააღრმავებს არასამთავრობო ორგანიზაციებს შორის თანამშრომლობას, ხოლო, მეორე მხრივ, მედიის დახმარებით გაზრდის საზოგადოებისთვის ინფორმაციის მიწოდებას თემატური პროექტების შესახებ.
- მუნიციპალიტეტების მერიებთან ურთიერთობის გაღრმავების მიზნით, მათთვის ტექნიკური / საექსპერტო კონსულტაციის შეთავაზება თემატურ საკითხებთან დაკავშირებით. მუნიციპალურ მერიებთან თანამშრომლობამ შესაძლოა მერების შეთანხმე-

ბის წევრ მუნიციპალიტეტებში არსებული არასამთავრობო ორგანიზაციებს საშუალება მისცეს ევროპაში „დაძმობილებულ ქალაქებში“ არსებულ კლიმატის ცვლილების და გარემოს დაცვის სფეროებში მომუშავე ორგანიზაციებთან თანამშრომლობის ფარგლებში იზრუნონ კლიმატის ცვლილების, ადაპტაციის და გარემოს დაცვის მიმართულებებით არსებული საუკეთესო პრაქტიკების დანერგვაზე/ დაძმობილებული ქალაქებიდან გადმოტანაზე.

(პოტენციურ) დონორებთან ურთიერთობების ჩამოყალიბების (გაუმჯობესების) მიზნით, ბენეფიციარი სამოქალაქო საზოგადოების და სათემო ორგანიზაციებისთვის რეკომენდებულია:

- ორგანიზაციის (პოტენციური) დონორების ბაზის შემუშავება და მათი პრიორიტეტების რეგულარული შესწავლა.
- (პოტენციური) დონორებისთვის ვიზიტების შეთავაზება ადგილზე ორგანიზაციის საქმიანობის გაცნობის ფარგლებში.

(პოტენციურ) ბენეფიციარებთან ურთიერთობის ჩამოყალიბების (გაუმჯობესების) მიზნით დონორებისთვის რეკომენდებულია:

- პოტენციური დონორების მიერ არასამთავრობო ორგანიზაციების შესაძლებლობების გაძლიერების ფარგლებში კლიმატის ცვლილების და გარემოს დაცვის სფეროებში მომუშავე სამოქალაქო საზოგადოების და სათემო ორგანიზაციებისათვის კომპეტენციების ამაღლების ტრენინგების შეთავაზება და ორგანიზაციული შესაძლებლობების განვითარების პროგრამების გაფართოება.
- კლიმატის ცვლილების და გარემოს დაცვის მიმართულებით განხორციელებულ და დაგეგმილ პროექტებში ქვე-გრანტირების პრინციპის გამოყენება, რომელიც ქვე-გრანტიორ ერთეულად თემატურ რეგიონულ სამოქალაქო საზოგადოების და სათემო ორგანიზაციას მოიაზრებს.
- დონორი ორგანიზაციის მიერ კლიმატის ცვლილების და გარემოს დაცვის მიმართულებით გამოცხადებულ საგრანტო კონკურსების ფარგლებში შეტანილ განაცხადებში დასახული მიზნების და ამოცანების სწორი შეფასების მიზნით, რეკომენდებულია დონორის მიერ ადგილობრივი კონტექსტის კვლევის განხორციელება.

ორგანიზაციის წინაშე არსებულ ფინანსურ გამოწვევებთან გამკლავების მიზნით რეკომენდებულია:

- კლიმატის ცვლილების და გარემოს დაცვის სფეროებში გამოცხადებული კონკურსების ფარგლებში შეტანილ საპროექტო განაცხადების ბიუჯეტში ორგანიზაციული განვითარებისთვის განკუთვნილი ხარჯების გათვალისწინება შესაძლებლობის ფარგლებში.
- ორგანიზაციაში ფინანსური რესურსების მდგრადი მართვის კულტურის დანერგვა / წახალისება.

- შემოწირულობის სისტემების გამოყენებასთან ერთად, ფინანსური რესურსით უზრუნ-ველყოფის ისეთი საშუალებების შესახებ ცნობიერების ამაღლება, როგორებიც არის - სამთავრობო გრანტები, კორპორაციული ფინანსირება, სამეცნიერო ფონდები, სახელმწიფო კონტრაქტები, სოციალური საწარმოები.

6. დასკვნა

საქართველოში კლიმატის ცვლილების და გარემოს დაცვის საკითხებით დაინტერესებული სამოქალაქო საზოგადოების და სათემო ორგანიზაციების გამოწვევების შეფასების ფარგლებში, სტრატეგიის და განვითარების ცენტრის მიერ იდენტიფიცირებული გამოწვევები პირობითად 4 კატეგორიად იყოფა:

1. კლიმატის ცვლილების და გარემოს დაცვის სფეროებში მომუშავე სამოქალაქო საზოგადოების და სათემო ორგანიზაციებს შორის აღქმული საერთაშორისო საზოგადოების, სახელმწიფოების, საერთაშორისო დონორების, სამიზნე ჯგუფების და საზოგადოების თემატური ინტერესის ნაკლებობით განპირობებული გამოწვევები;

2. სამიზნე ჯგუფების ოპერირების ისეთი ხელისშემშლელი ფაქტორები, როგორებიც არის - ორგანიზაციული განვითარების ხედვის / გეგმის / სტრატეგიის არარსებობა, პასუხისმგებლობების და უფლებამოსილების დელეგირების საკითხი, თემატური ექსპერტების / კომპეტენტური პირების არარსებობა ორგანიზაციებში, სამოქალაქო საზოგადოების და სათემო ორგანიზაციების ციფრული ცნობადობის საკითხი, ადგილობრივი კონკურენცია, ადგილობრივ თანამშრომლობასთან დაკავშირებული გამოწვევები.

3. (პოტენციურ) დონორთან ინტერაქციის დროს წარმოქმნილი გამოწვევები, რომლებიც თავის მხრივ ითვალისწინებს ცნობიერების ნაკლებობას დონორის პრიორიტეტების შესახებ, დონორის ინფორმირებულობის დაბალ დონეს ადგილობრივი კონტექსტის შესახებ, რეგიონული სამოქალაქო საზოგადოების და სათემო ორგანიზაციების მოქნილობის ნაკლებობას ცვალებადი გარემოებების მიმართ, შეზღუდული გამჭვირვალობით და არასათანადო ანგარიშგებით განპირობებულ გამოწვევებს.

4. ფინანსური გამოწვევები, რომლებშიც მოაზრებულია რეგიონულ ორგანიზაციებზე გაცემული გრანტების მცირე მოცულობა, მოპოვებული გრანტის მართვასთან დაკავშირებით არსებული გამოწვევები, პროექტის გაგრძელებასთან დაკავშირებით არსებული პრობლემები, გრძელვადიანი ფინანსების (ე.წ საბაზო ფინანსების) მოპოვების საკითხი, ფინანსების მოძიების კომპეტენცია და გაწეული ძალისხმევა.

   იდენტიფიცირებულ გამოწვევებსა და საჭიროებებზე დაყრდნობით, სტრატეგიის და განვითარების ცენტრის კვლევითმა გუნდმა წარმოადგინა სამიზნე ჯგუფებზე მორგებული რეკომენდაციების სია, რომელიც მიზნად ისახავს აღნიშნული ერთეულების ოპერირების ეფექტიანობის გაზრდას, ორგანიზაციის სტრუქტურული განვითარებისკენ კონკრეტული ნაბიჯების გადადგმით, ნდობის და ცნობადობის გაძლიერებით და ცნობიერების ამაღლებით ორგანიზაციის ფინანსირების ალტერნატიული გზების შესახებ.

გამოყენებული მასალები

დანართი 1. საქართველოში არსებული სამოქალაქო საზოგადოების და სათემო ორგანიზაციების ჩართულობა კლიმატის ცვლილების და გარემოს დაცვის პოლიტიკის განვითარებაში: სამაგიდე კვლევის ანგარიში

DecisionWare Group LLC (DWG) (2017). Enhancing Capacity For Low Emission Development Strategies (Ec-Leds) Clean Energy Program Georgia's Low Emission Development Strategy (Leds) Draft. გვ. 8 ხელმისაწვდომია: https://policy.asiapacificenergy.org/sites/default/files/Draft%20Georgia%27s%20Low%20Emission%0Development%20Strategy%20%28LEDS%29%20%28EN%29.pdf

United Nations (1992). Convention On Biological Diversity. ხელმისაწვდომია: Https://Www.Cbd.Int/Doc/Legal/Cbd-En.Pdf

United Nations (1992). United Nations Framework Convention On Climate Change. ხელმისაწვდომია: Https://Unfccc.Int/Resource/Docs/Convkp/Conveng.Pdf

United Nations (1998). Kyoto Protocol to the United Nations Framework Convention on Climate Change. ხელმისაწვდომია: https://unfccc.int/resource/docs/convkp/kpeng.pdf

United Nations (2015). Paris Agreement. ხელმისაწვდომია: https://unfccc.int/sites/default/files/english_paris_agreement.pdf

UNFCCC (2021). Fourth National Communication of Georgia. Pg. 377 ხელმისაწვდომია: https://unfccc.int/sites/default/files/resource/4%20Final%20Report%20-%20English%202020%2030.03_0.pdf

United Nations (1996). United Nations Convention to Combat Desertification. Pg 3. ხელმისაწვდომია: https://catalogue.unccd.int/936_UNCCD_Convention_ENG.pdf

დანართი 1. საქართველოში არსებული სამოქალაქო საზოგადოების და სათემო ორგანიზაციების ჩართულობა კლიმატის ცვლილების და გარემოს დაცვის პოლიტიკის განვითარებაში: სამაგიდე კვლევის ანგარიში

კლიმატის ცვლილებით და გარემოს დაცვით დაინტერესებული არასამთავრობო ორგანიზაციების თემატური პოლიტიკის განვითარებაში მონაწილეობის უფლება სხვადასხვა საკანონმდებლო დოკუმენტი ითვალისწინებს სამოქალაქო საზოგადოების და სათემო ორგანიზაციების უფლებას ჩაერთონ კლიმატის ცვლილების და გარემოს დაცვის პოლიტიკის განვითარებაში. აღნიშნული უფლების განსაზღვრის მიზნით, სტრატეგიის და განვითარების ცენტრის კვლევითმა გუნდმა შეისწავლა სამი საკანონმდებლო წყარო - საქართველოს კონსტიტუცია, საქართველოს კანონი გარემოს დაცვის შესახებ და გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსი (იხ ცხრილი 1).

ცხრილი 1. გარემოს დაცვის და პოლიტიკის განვითარებაში მონაწილეობის უფლება

საქართველოს კონსტიტუცია: მუხლი 29	1. ყველას აქვს უფლება ცხოვრობდეს ჯანმრთელობისთვის უვნებელ გარემოში, სარგებლობდეს ბუნებრივი გარემოთი და საჯარო სივრცით. ყველას აქვს უფლება დროულად მიიღოს სრული ინფორმაცია გარემოს მდგომარეობის შესახებ. ყველას აქვს უფლება ზრუნავდეს გარემოს დაცვაზე. გარემოსდაცვით საკითხებთან დაკავშირებული გადაწყვეტილებების მიღებაში მონაწილეობის უფლება უზრუნველყოფილია კანონით. 2.ახლანდელი და მომავალი თაობების ინტერესების გათვალისწინებით გარემოს დაცვა და ბუნებრივი რესურსებით რაციონალური სარგებლობა უზრუნველყოფილია კანონით.
საქართველოს კანონი გარემოს დაცვის შესახებ მუხლი 5 (ლ)	ლ) „გადაწყვეტილების მიღების პროცესში საზოგადოებრიობის მონაწილეობის პრინციპი“ – უზრუნველყოფილია საქმიანობის განხორციელებასთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი გადაწყვეტილების მიღების პროცესში საზოგადოებრიობის მონაწილეობა;
გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსი	არასამთავრობო ორგანიზაციებისა და სამთავრობო ერთეულებისთვის თანამშრომლობის ხელშეწყობის მიზნით შექმნილმა პლატფორმამ - „ღია მმართველობის პარტნიორობამ“, საფუძველი ჩაუყარა 2017 წელს მიღებული გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის შემუშავებას, რომელიც . სხვა ფუნდამენტურ პრინციპებთან ერთად, კოდექსის მუხლი 30 (1) და (2ა) ითვალისწინებს საზოგადოების ჩართულობას თემატური პოლიტიკის განვითარებაში. აღნიშნული მუხლები მხარს უჭერს საზოგადოების ჩართულობას თემატური გადაწყვეტილებების მიღების პროცესში. კოდექსის 31-ე მუხლი აკისრებს ხელისუფლებას პასუხისმგებლობას ხელი შეუწყოს არასამთავრობო სექტორის ჩართულობას. კოდექსის მუხლი 2 (ბ) და 32 (ფ) საზოგადოების მიერ მოთხოვნილი ინფორმაციის დროულ მიწოდებას გულისხმობს.

გაეროს მიერ მხარდაჭერილი სამოქალაქო საზოგადოების და სათემო ორგანიზაციების ჩართულობა თემატური პოლიტიკის განვითარების პროცესში

საქართველოს კლიმატის ცვლილების და გარემოსდაცვით საერთაშორისო ინიციატივებში მონაწილეობა 1994 წლიდან იწყება, როდესაც საქართველო შეუერთდა და კლიმატის ცვლილების ჩარჩო (UNFCCC) და ბიოლოგიური მრავალფეროვნების (UNCBD) და ხელი მოაწერა გაუდაბნოებასთან ბრძოლის შესახებ კონვენციას (UNCDD). აღნიშნულმა სამმა კონვენციამ, ორჰუსის კონვენციასთან ერთად, დაავალდებულა შეთანხმებაში ჩართული სახელმწიფოები ხელი შეეწყოთ სამოქალაქო საზოგადოების და სათემო ორგანიზაციების მომავალ ეროვნულ ინიციატივებსა და პოლიტიკის განვითარებაში ჩართულობისთვის.

ორჰუსის კონვენცია

1998 წელს მიღებული ორჰუსის კონვენცია ფუნდამენტურ დოკუმენტს წარმოადგენს, რომელიც უზრუნველყოფს ყველა მხარის (მათ შორის, საქართველოს) ვალდებულებას ჩართონ სამოქალაქო საზოგადოების და არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლები გარემოსდაცვით პროცესებსა და თემატური პოლიტიკის განვითარებაში. საქართველოს ხელისუფლებამ ორჰუსის კონვენციას ხელი 1998 წლის 29 ივნისს მოაწერა, ხოლო მისი რატიფიცირება 2000 წლის 11 აპრილს მოხდა. ზემოთ ხსენებული 3 კონვენციის მსგავსად, ორჰუსის კონვენცია ცნობს არასამთავრობო სექტორის მზარდ როლს და იწვევს ყველა კომპეტენტურ, დაინტერესებულ არასამთავრობო ორგანიზაციას კონვენციის მხარეთა რეგულარულ სხდომებზე.[6]

არასამთავრობო ორგანიზაციების ჩართულობას ქვეყნის კლიმატის ცვლილების და გარემოსდაცვითი პოლიტიკის განვითარებაში ორჰუსის კონვენციის შესრულების მიხედვით აფასებენ. მიხეილ ხუნდაძის და ლარისა დონგესის შეფასებით, სამოქალაქო საზოგადოების და სათემო ორგანიზაციების ჩართულობა სრულად არ შეესაბამება ორჰუსის კონვენციას, რაც განპირობებულია კლიმატის ცვლილების და გარემოსდაცვითი პრობლემების სიმწვავის აღიარების პოლიტიკური ნების და სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებთან ერთად, პოლიტიკის წარმოების გამჭვირვალობის ნაკლებობით.[7]

გაეროს ბიოლოგიური მრავალფეროვნების კონვენცია და არასამთავრობო სექტორის მონაწილეობა საქართველოს ბიოლოგიური მრავალფეროვნების ეროვნული სტრატეგიის და სამოქმედო გეგმის (NBSAP) შემუშავებაში

საქართველო გაეროს ბიოლოგიური მრავალფეროვნების კონვენციის 1994 წლიდან შეუერთდა, რამაც კიდევ უფრო გაზარდა იმდროინდელი ხელისუფლების პასუხისმგებლობა, სამოქალაქო საზოგადოების და სათემო ორგანიზაციების პოლიტიკის წარმოებაში ჩართულობის შესახებ. აღნიშნული კონვენციის პრეამბულა და მე-14 მუხლი ხაზს უსვამს საზოგადოების ჩართულობის მნიშვნელობას.[8]

6 გაერთიანებული ერების ორგანიზაცია (1998). არჰუსის კონვენცია. ხელმისაწვდომია: https://unece.org/DAM/env/pp/documents/cep43e.pdf

7 Donges. L., & Kurdadze., M (2021). The Voice of Civil Society Organisations in Georgia's Climate Policy. Caucasus Analytical Digest N124. DOI: 10.3929/ethz-b-000511715; Available at: https://www.research-collection.ethz.ch/bitstream/handle/20.500.11850/511715/CAD124.pdf?sequence=3&isAllowed=y

8 United Nations (1992). Convention On Biological Diversity. Available At: Https://Www.Cbd.Int/Doc/Legal/Cbd-En.Pdf

მიუხედავად იმისა, რომ კონვენცია მხოლოდ მოუწოდებს ქვეყნებს სამოქალაქო საზოგადოების და სათემო ორგანიზაციების ჩართულობისკენ, კონვენციამ დაავალდებულა შეთანხმების მხარეები (მათ შორის საქართველო) შეემუშავებინათ ბიოლოგიური მრავალფეროვნების სტრატეგიული დოკუმენტები. საქართველოს ამ დროისათვის მომზადებული აქვს ბიოლოგიური მრავალფეროვნების ეროვნული სტრატეგიის და სამოქმედო გეგმის 2 ვერსია, 2005 წელს და 2014 წლებში. 2005 წლის ვერსიის შემუშავების პროცესი არასამთავრობო სექტორის მიმართ ინკლუზიურობით გამოირჩეოდა. დოკუმენტში ხაზგასმული იყო 3 არასამთავრობო ორგანიზაცია, NACRES, GPAP-ის და ტყის რესურსების მდგრადი მომხმარების ცენტრი, რომლებმაც 2005 წლის ეროვნული სტრატეგიის და სამოქმედო გეგმის სხვადასხვა კომპონენტი შეიმუშავეს. აღნიშნული დოკუმენტის მომზადება ასევე ითვალისწინებდა სხვა არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენელი თემატური ექსპერტების ჩართულობას.[9]

ბიოლოგიური მრავალფეროვნების მეორე ეროვნული სტრატეგია და სამოქმედო გეგმა (2014-2020), ხაზს უსვამდა არასამთავრობო სექტორის ჩართულობის მნიშვნელობას ქვეყანაში თემატური მიმართულების განვითარებისთვის, რისთვისაც სახავდა მათი ჩართულობის სამომავლო ზრდის გაზრდის პერსპექტივას.[10]

გაეროს კლიმატის ცვლილებების ჩარჩო კონვენცია და არასამთავრობო სექტორის მონაწილეობა განახლებული ორწლიური ანგარიშის, ეროვნულ დონეზე განსაზღვრული წვლილის, კლიმატის ცვლილების სტრატეგიის და სამოქმედო გეგმის შემუშავებაში

მიუხედავად კლიმატის ცვლილების მიმართ არსებული სკეპტიციზმისა 90-იან წლებში, გაერომ 1992 წელს მიიღო კლიმატის ცვლილების ჩარჩო კონვენცია, რომელიც ძალაში 1994 წლის 24 მარტს შევიდა. საქართველოს ხელისუფლება კონვენციას 1994 წლიდან შეუერთდა. კონვენციის ტექსტი ხაზს უსვამდა არასამთავრობო სექტორის მაქსიმალურად შესაძლებელი ჩართულობის მნიშვნელობას თემატურ სამუშაოებში.[11]

კლიმატის ცვლილების ჩარჩო კონვენციამ არასამთავრობო ორგანიზაციებს და სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებს მე-7 მუხლით მიანიჭა კონვენციის მხარეთა კონფერენციებზე დამკვირვებლის სტატუსით ჩართვის უფლება.

საქართველოს მიერ კლიმატის ცვლილების ჩარჩო კონვენციის შესრულება, რომელიც თავის მხრივ სამოქალაქო საზოგადოების და სათემო ორგანიზაციების თემატურ ჩართულობას მოიაზრებდა, შემდგომში გარანტირებული იქნა 3 დამოკიდებული ინიციატივით: კიოტოს ოქმი / პროტოკოლი, ბალის გზამკვლევი და პარიზის შეთანხმება.

---

9 Government Of Georgia (2005). National Biodiversity Strategy And Action Plan – Georgia. Pg. 3. Available At: Https://Www.Cbd.Int/Doc/World/Ge/Ge-Nbsap-01-En.Pdf

10 Government Of Georgia (2014). National Biodiversity Strategy And Action Plan Of Georgia 2014-2020. Pg 58. Available At: Https://Www.Cbd.Int/Doc/World/Ge/Ge-Nbsap-V2-En.Pdf

11 United Nations (1992). United Nations Framework Convention On Climate Change. Available At: Https://Unfccc.Int/Resource/Docs/Convkp/Conveng.Pdf

1. 1997 წელს მიღებული კიოტოს ოქმის საქართველოს მიერ რატიფიცირება 1999 წელს მოხდა. პროტოკოლი აწესებდა სავალდებულო მოთხოვნებს ინდუსტრიული ქვეყნებისათვის შეემცირებინათ სათბური გაზების ემისია 5 პროცენტით, 1990 წელთან შედარებით, რაშიც მე-13 (4-I) მუხლის თანახმად, აქტიურად უნდა ჩართულიყო არასამთავრობო სექტორი.

   ამასთანავე, ჩარჩო კონვენციის მე-7 მუხლის მე-6 ქვეთავის თანახმად, დაინტერესებულ თემატურ არასამთავრობო ერთეულებს საშუალება მიეცათ, დამკვირვებლის სტატუსით, მონაწილეობა მიეღოთ კონვენციის ხელმომწერ მხარეთა კონფერენციებში.[12]

2. ბალის გზამკვლევმა 2007 წელს საფუძველი ჩაუყარა ეროვნული კლიმატის ცვლილების შერბილების სათბური გაზების ემისიის შემცირების აქტივობებს. მიუხედავად იმისა, რომ გზამკვლევის მიზანს მწვანე მიდგომების პოპულარიზება წარმოადგენდა ბიზნეს სექტორში, იგი დაეხმარა ქვეყანას ეფექტიანად ჩაერთო არასამთავრობო ორგანიზაციები კლიმატის ცვლილების შერბილების გეგმის შემუშავების პროცესში. გზამკვლევი ჩარჩო კონვენციის მომზადებასთან ერთად, ქვეყნებს ავალდებულებდა მოემზადებინათ ორწლოვანი განახლებადი ანგარიში, რომელშიც აქტიურად იყვნენ ჩართული სხვადასხვა არასამთავრობო ორგანიზაციები.[13]

3. პარიზის შეთანხმება წარმოადგენს უნივერსალურ დოკუმენტს, რომელიც მიზნად ისახავს ტემპერატურის ზრდა +2 გრადუსამდე შეაჩეროს სათბური აირების ემისიების შემცირების გზით. შეთანხმების მე-6 მუხლი ცნობს სამთავრობო და არასამთავრობო სექტორის თანამშრომლობის მნიშვნელობას.[14]

   საგულისხმოა საქართველოში არსებული არასამთავრობო სექტორის მუშაობა კლიმატის ცვლილებასთან და ჩარჩო კონვენციასთან დაკავშირებულ 3 დოკუმენტზე - ეროვნულ დონეზე განსაზღვრული წვლილი (NDC), კლიმატის ცვლილების ეროვნული სტრატეგია და სამოქმედო გეგმა (CSAP) და მეოთხე ეროვნული შეტყობინება.

   - <u>საქართველოს არასამთავრობო სექტორის ჩართულობა ეროვნულ დონეზე განსაზღვრული წვლილის და კლიმატის ცვლილების ეროვნული სტრატეგია და სამოქმედო გეგმა (CSAP) შემუშავებაში</u>

     საქართველოს გარემოს დაცვის და სოფლის მეურნეობის სამინისტროs(MEPA) და GIZ-ის ორგანიზებით 2018 წელს გაიმართა კლიმატის ცვლილების კონფერენცია, რომელიც მიზნად არსებული ეროვნულ დონეზე განსაზღვრული წვლილის (INDC) განახლებას და კლიმატის ცვლილების ეროვნული სტრატეგიის და სამოქმედოდ გეგმის შემუშავების მიზანს ემსახურებოდა. ღია დისკუსიის ფორმატს 90-მდე დაინტერესებული მხარე ესწრებოდა. ამასთანავე, არასამთავრობო სექტორში შეიქმნა შექმნეს კლიმატის ცვლილების კოალიცია.

12 United Nations (1998). Kyoto Protocol to the United Nations Framework Convention on Climate Change. Available at: https://unfccc.int/resource/docs/convkp/kpeng.pdf

13 Independent Institute for Environmental Issues (UfU e.V.), Regional Environmental Centre for the Caucasus (REC Caucasus), 2020: Civic Space for Participation in Climate Policies in Georgia. Berlin. Available at: https://www.ufu.de/wp-content/uploads/2021/02/ZIVIKLI-study_Georgia_final.pdf

14 United Nations (2015). Paris Agreement. Available at: https://unfccc.int/sites/default/files/english_paris_agreement.pdf

- <u>არასამთავრობო სექტორის მონაწილეობა მეოთხე ეროვნული შეტყობინების (FNC) შემუშავებაში</u>

  საქართველოს მეოთხე ეროვნული კომუნიკაცია შეიცავს რეკომენდაციებს არასამთავრობო სექტორის ჩართულობის შესახებ. FNC-ის სექცია 5.3 ხაზს უსვამს საქართველოში არასამთავრობო სექტორის და სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების მნიშვნელობას საზოგადოების თემატური ცნობიერების ამაღლების პროცესში.[15]

გაეროს გაუდაბნოებასთან ბრძოლის შესახებ კონვენცია და არასამთავრობო სექტორის მონაწილეობა გაუდაბნოებასთან ბრძოლის მოქმედებათა ეროვნული პროგრამის (NAPCD) შემუშავებაში

გაეროს გაუდაბნოებასთან ბრძოლის შესახებ კონვენციის (UNCDD) მხარე საქართველო 1999 წლის 21 ოქტომბერს გახდა. კონვენციაში ჩართვამ საშუალება მისცა ქვეყანას რეგულარულად დასწრებოდა ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების კონფერენციებს და შეხვედრებს. გაუდაბნოებასთან ბრძოლის ფარგლებში, კონვენცია ხაზს უსვამს არასამთავრობო პასუხისმგებლობას და უფლებებს. პრეამბულა ცნობს არასამთავრობო ორგანიზაციების როლს გაუდაბნოებასთან ბრძოლასა და გვალვის გავლენების შერბილების პროცესში.[16]

UNCDD-ის მე-3, მე-13 და მე-14 მუხლებში ასახული პრინციპები, ცნობს თანამშრომლობის მნიშვნელობას არასამთავრობო ორგანიზაციებს და სახელისუფლებო ერთეულებს შორის. ორ სექტორს შორის თანამშრომლობის ხაზგასმასთან ერთად, კონვენცია მოუწოდებს მის მონაწილე მხარეებს განავითარონ თანამშრომლობის ხელშემწყობი მექანიზმები.[17]

კონვენციის მე-9 მუხლის თანახმად, MEPA-მ უზრუნველყო არასამთავრობო სექტორის ჩართულობა გაუდაბნოებასთან ბრძოლის მოქმედებათა ეროვნული პროგრამის (NAPCD) შემუშავებაში. მეორე NAPCD ცნობს არასამთავრობო ორგანიზაციების როლს აამაღლოს ცნობიერება და განახორციელოს ადვოკატირება კლიმატის ცვლილებასთან დაკავშირებულ გაუდაბნოებაზე, თუმცა აღიარებს ასეთი თემატური ორგანიზაციების სიმწირეს საქართველოში.[18]

სამოქალაქო საზოგადოების და არასამთავრობო სექტორის მიერ გაუდაბნოებასთან დაკავშირებით დეტალური ინფორმაციას ფლობის აღიარებასთან ერთად, NAPCD მხარს უჭერს საინფორმაციო კამპანიებს, რომლის სამიზნე აუდიტორიებში საზოგადოებასთან ერთად არასამთავრობო ორგანიზაციებიც წევრიანდებიან.[19]

---

15 UNFCCC (2021). Fourth National Communication of Georgia. Pg. 377 Available at: https://unfccc.int/sites/default/files/resource/4%20Final%20Report%20-%20English%202020%2030.03_0.pdf

16 United Nations (1996). United Nations Convention to Combat Desertification. Pg 3. Available at: https://catalogue.unccd.int/936_UNCCD_Convention_ENG.pdf

17 ^ Ibid.

18 Government of Georgia (2014). Second National Action Program to Combat Desertification. pg 11. Available at: https://mepa.gov.ge/En/PublicInformation/25

19 ^Ibid. pg 13.

არასამთავრობო სექტორის ევროკავშირის მიერ მხარდაჭერილი ჩართულობა თემატური პოლიტიკის განვითარებაში.

ევროკავშირსა და საქართველოს შორის თანამშრომლობამ სხვადასხვა სფერო მოიცვა, მათ შორის კლიმატის ცვლილება და გარემოს დაცვა. წლების განმავლობაში, ევროკავშირი მხარს უჭერდა ადგილობრივი არასამთავრობო სექტორის გაძლიერებას და ჩართულობას თემატური პოლიტიკის განვითარების პროცესში. წინამდებარე სეგმენტი მიმოიხილავს ევროკავშირის მიერ მხარდაჭერილ სამოქალაქო არასამთავრობო ორგანიზაციების ჩართულობას კლიმატის ცვლილების და გარემოს დაცვის პოლიტიკის განვითარებაში თემატური ორგანიზაციების ჩართულობაზე დაკვირვებით აღმოსავლეთ პარტნიორობის სამოქალაქო საზოგადოების ფორუმსა (EaP CSF) და საქართველოს ეროვნული პლატფორმის (GNP), მერების შეთანხმების, ევროპული სამეზობლოს პროგრამის სოფლისა და სოფლის მეურნეობის განვითარებისთვის (ENAPRD) და ასოცირების ხელშეკრულებით გათვალისწინებული LEDS განვითარების ფარგლებში.

თემატური არასამთავრობო ორგანიზაციების ჩართულობა EaP CSF-სა და GNP-ში

2008 წლიდან EaP-CSF ასოცირების ხელშეკრულების ქვეყნებიდან დაახლოებით 800 ორგანიზაციას აერთიანებს. ინიციატივა მხარს უჭერს სამოქალაქო საზოგადოების ჩართულობას გადაწყვეტილების მიღების პროცესში.[20] სხვადასხვა წევრ არასამთავრობო ორგანიზაციებთან ერთად, მესამე სამუშაო ჯგუფი აერთიანებს ისეთ თემატურ ორგანიზაციებს როგორებიც არის REC-Caucasus, CENN, GMG, Greens Alternative, the Foundation Caucasus Environment და სხვ (იხ. ფიგურა 1).

Figure 1. ქართული არასამთავრობო ორგანიზაციები EaP CSF-ის კლიმატის ცვლილების და გარემოს დაცვის სამუშაო ჯგუფში. წყარო: EaP-CSF

Wild Nature Conservation Society "Tchaobi"	Georgia	https://www.facebook.com/Wild-Nature-Conservation-Society-Tchaobi-254456857965305/	Environment and Climate Change	WG2	Not specified	NP member
Association Green Alternative	Georgia	http://greenalt.org/home/	Environment and Climate Change	WG3	National	2010
CENN - Caucasus Environmental NGO Network	Georgia	http://environment.cenn.org	Environment and Climate Change	WG3	Regional	2010
Foundation Caucasus Environment	Georgia	https://www.facebook.com/foundationcaucasusenvironment	Environment and Climate Change	WG3	Not specified	2015
Green Earth	Georgia	http://www.greenearthgeo.org/	Environment and Climate Change	WG3	Not specified	NP member
Greens Movement of Georgia / Friends of the Earth	Georgia	www.greens.ge	Environment and Climate Change	WG3	National	2010
Imereti Union of Science - "SPECTRI"	Georgia	Not specified	Environment and Climate Change	WG3	National	NP member
International Center for Environmental Research	Georgia	http://www.icfer.org/	Environment and Climate Change	WG3	Not specified	NP member
Regional Environmental Center for the Caucasus (REC)	Georgia	https://www.rec-caucasus.org/	Environment and Climate Change	WG3	Not specified	2010
Union for sustainable development - ECOVISION	Georgia	www.ecovision.ge	Environment and Climate Change	WG3	Regional	NP member
Research-Intellectual Club Dialogue of Generations	Georgia	www.ricdog.org	Environment and Climate Change	WG5	Regional	2013

20 ^ Ibid [17]. pg 27.

EaP CSF-თან დაკავშირებული GNP ეროვნულ დონეზე არსებულ ხელშემწყობ ერთეულს წარმოადგენს არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლების თემატური ჩართულობისთვის. პლატფორმა 5 განსხვავებულ სამუშაო ჯგუფში 199 წევრს აერთიანებს. პლატფორმის სამი სამუშაო ჯგუფი (გარემოს დაცვის, კლიმატის ცვლილების და ენერგოუსაფრთხოების) 51 არასამთავრობო ორგანიზაციას აერთიანებს. მისი წევრები ჩართული არიან სხვადასხვა ტიპის აქტივობებში, როგორც ეროვნულ, ისე - რეგიონულ და საერთაშორისო დონეზე. ჯგუფმა 2020 წელს დააფიქსირა თავისი პოზიცია იმ გარემოს პირობებზე რომელიც გავლენას ახდენს COVID-19 პანდემიის გავრცელებაზე და გამოაქვეყნა ოთხი პოლიტიკის დოკუმენტი საქართველოში გარემოსთან დაკავშირებით არსებულ პრობლემებზე. GNP-ის წევრები წარსულში ჩართული იყვნენ პრეზიდენტთან, პარლამენტის წევრებთან და სხვადასხვა სამინისტროებთან შეხვედრებში. სამუშაო ჯგუფ 3-ს 2 წარმომადგენელი ორგანიზაცია ჰყავს GNP-ს საკოორდინაციო საბჭოში - Spectri და Dialogue of Generations.21 მესამე სამუშაო ჯგუფის წევრები ჩართული არიან EaP CSF რეგრანტირების სქემაში, რომელშიც ისინი საერთო პროექტებში მონაწილეობენ აზერბაიჯანელ, სომეხ, მოლდოველ, უკრაინელ და ევროპელ კოლეგებთან ერთად.[22]

რეგიონული არასამთავრობო ორგანიზაციების ჩართულობა მერების შეთანხმებაში

მერების შეთანხმება კლიმატის და ენერგიის შესახებ აერთიანებს ადგილობრივ და რეგიონულ თვითმმართველობებს. შეთანხმების მხარეები ხელს უწყობენ ეკომეგობრული გარემოს განვითარების ფარგლებში CO2 ემისიების შემცირებას. დღეისათვის მერების შეთანხმებაში ჩართულია 26 ქართული ერთეული (იხ. ფიგურა 2).

ფიგურა 2. მერების შეთანხმებაში ჩართული მუნიციპალიტეტები. წყარო: EEC

Signatories	Population	Commitments	Status	Adhesion date
Akhaltsikhe Municipality	20,992	2020		2014
Akhmeta Municipality	31,461	ADAPT 2030		2018
Baghdati Municipality	21,582	ADAPT 2030		2019
Batumi	152,839	2020 ADAPT 2030		2011
Bolnisi Municipality	53,590	2020 ADAPT 2030		2015
Chokhatauri Municipality	19,001	ADAPT 2030		2017
Dedoplistskaro Municipality	21,221	ADAPT 2030		2018
Dusheti Municipality	26,100	ADAPT 2030		2022
Gori Municipality	125,692	2020 ADAPT 2030		2012
Gurjaani Municipality	54,337	ADAPT 2030		2018
Kutaisi	147,635	2020		2011
Kazbegi Municipality	3,795	2020 ADAPT 2030		2015
Kvareli Municipality	29,827	ADAPT 2030		2018
Lagodekhi Municipality	41,678	ADAPT 2030		2018
Lanchkhuti Municipality	31,486	2030 ADAPT		2017
Mtskheta	53,900	2020 ADAPT 2030		2015
Ozurgeti Municipality	62,500	2030 ADAPT		2017
Oni Municipality	6,230	ADAPT 2030		2022
Poti	41,485	2030 ADAPT		2017
Rustavi	120,800	2020 ADAPT 2030		2011
Sagarejo Municipality	59,212	ADAPT 2030		2018
Sighnagi Municipality	29,948	ADAPT 2030		2018
Tbilisi	1,110,000	2020		2010
Telavi Municipality	38,721	2020 ADAPT 2030		2015
Tianeti Municipality	9,468	2020 ADAPT 2030		2015
Zugdidi Municipality	62,511	2020 ADAPT 2030		2013

21 EaP-CSF (n,d). Working Group 3: Environmental Protection, Climate Change, and Energy Security. Available at: https://eap-csf.ge/index.php/group-members-3/?lang=en

22 Eap-CSF (n,d). CSF Re-Granting – What We Do. Available at: https://eap-csf.am/what-we-do/csf-re-granting/

ასოცირების შესახებ შეთანხმება და არასამთავრობო სექტორის მონაწილეობა LEDS შემუშავებაში.

ასოცირების შესახებ შეთანხმება საკვანძო სტრატეგიულ დოკუმენტს წარმოადგენს, რომელიც უზრუნველყოფს სამოქალაქო საზოგადოების ჩართულობას ეროვნულ დონეზე. აღნიშნული შეთანხმებით, ევროკავშირმა დაავალდებულა საქართველოს მთავრობა ხელი შეეწყო არასამთავრობო ორგანიზაციების და სამოქალაქო საზოგადოების ჩართულობისთვის პოლიტიკის წარმოებაში.[23]

ასოცირების შესახებ შეთანხმებით საქართველოს ხელისუფლებამ კიდევ უფრო გაამყარა მისი პოზიცია გაეროს სამი კონვენციის და LEDS-ის მომზადების მიმართ.[24]

ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს და საქართველოს ხელისუფლების მიერ LEDS-ის შემუშავების პროცესის ფარგლებში, რამდენიმე არასამთავრობო ორგანიზაციამ გააგზავნა მათი წარმომადგენელი თემატურ სამუშაო ჯგუფებში, რომლებმაც თავის მხრივ შექმნეს LEDS დოკუმენტის სამუშაო ვერსია. აღნიშნული ორგანიზაციების წარმომადგენლებს საშუალება მიეცათ გაეჟღერებინათ საკუთარი მოსაზრებები, შეეთავაზებინათ საკუთარი რეკომენდაციები და გაეწიათ საკონსულტაციო მომსახურება.[25]

ევროკავშირის 2018-2020 წლების გზამკვლევი სამოქალაქო საზოგადოებასთან ჩართულობის შესახებ

ევროკავშირსა და ეროვნულ დონეზე არსებულ არასამთავრობო ორგანიზაციებს შორის (თბილისიდან, ქუთაისიდან, და თელავიდან) თანამშრომლობის ფარგლებში შემუშავებული იქნა "ევროკავშირის 2018-2020 წლების გზამკვლევი სამოქალაქო საზოგადოებასთან ჩართულობის შესახებ". აღნიშნული გზამკვლევი თანამშრომლობის უწყობდა ხელს თანამშრომლობის გაძლიერებას არასამთავრობო და სამთავრობო სექტორებს შორის. სხვა სამუშაო მიმართულებებს შორის გზამკვლევი ასახელებდა ენერგოეფექტურობას, გარემოს დაცვას და კლიმატის ცვლილებას, გზების უსაფრთხოებას და სასუნთქი ჰაერის ხარისხის გაუმჯობესებას.[26]

არასამთავრობო სექტორის კლიმატის ცვლილების და გარემოს დაცვის პოლიტიკაში ჩართვის შესახებ არსებული შეფასებები

სტრატეგიის და განვითარების ცენტრის კვლევითმა გუნდმა შეისწავლა შეფასებები ქართული სამოქალაქო საზოგადოების და სათემო ორგანიზაციების გარემოს დაცვის და კლიმატის ცვლილების პოლიტიკის განვითარებაში ჩართულობის შესახებ.

---

23 European Union (2014). Association Agreement between the European Union and Georgia. Available at: https://eur-lex.europa.eu/legal-content/en/TXT/PDF/?uri=CELEX:22014A0830(02)

24 ^Ibid. Article 230, Paragraph 4. - 3. Effective Implementation of UNFCCC. Available at: https://trade.ec.europa.eu/doclib/docs/2021/july/tradoc_159710.pdf

25 DecisionWare Group LLC (DWG) (2017). Enhancing Capacity For Low Emission Development Strategies (Ec-Leds) Clean Energy Program Georgia's Low Emission Development Strategy (Leds) Draft. Available at: https://policy.asiapacificenergy.org/sites/default/files/Draft%20Georgia%27s%20Low%20Emission%20Development%20Strategy%20%28LEDS%29%20%28EN%29.pdf

26 ^ Ibid [17]. pg 28

კავკასიის ანალიტიკური დაიჯესტის 124-ე გამოცემის ავტორები თემატური არასამთავრობო ორგანიზაციების ჩართულობას გარემოს დაცვის და კლიმატის ცვლილების მიმართულებით პოლიტიკის განვითარებაში დადებითად აფასებენ.[27]

თუმცა, ავტორები ყურადღებას უმეტესწილად თბილისში ბაზირებულ, დიდი რესურსის მქონე ერთეულებზე ამახვილებენ. ამასთანავე ხაზგასმულია საზოგადოების ინტერესის ნაკლებობა კლიმატის ცვლილების და გარემოს დაცვის მიმართ, რომელიც ზღუდავს რეგიონულ ორგანიზაციების განვითარებას. [28]

საგულისხმოა აღმოსავლეთ პარტნიორობის ინდექსიც (2020-2021), რომელიც არასამთავრობო ორგანიზაციების ჩართულობას აფასებს გარემოს დაცვის და კლიმატის ცვლილების პოლიტიკის განვითარების მიმართულებით. ინდექსზე დაყრდნობით, ასოცირების ტრიო (საქართველო, მოლდოვა და უკრაინა), წარმატებულია დაინტერესებული მხარეების მონაწილეობის ხელშეწყობის თვალსაზრისით.[29]

27 ^Ibid [7]. pg 8.

28 ^Ibid [7].

29 EaP-CSF (2021). Eastern Partnership Index 2020-2021. Available at: https://eap-csf.eu/wp-content/uploads/EaP-Index-2020-2021.pdf

დანართი 2. სტრატეგიის და განვითარების ცენტრის (CSD) მიერ შესწავლილი CSOGEORGIA.ORG-ზე რეგისტრირებული არასამთავრობო ორგანიზაციების ნუსხა

1. „საათი“.
2. ა(ა)იპ მომავლისთვის
3. ამაგი „მომავალი“
4. აგროტურიზმის განვითარების ცენტრი „კორენა“
5. ასოციაცია „ბიო“
6. ასოციაცია „დისველის ქალთა საბჭო“
7. ასოციაცია „ზეკარი“.
8. ასოციაცია „მწვანე ალტერნატივა“
9. ასოციაცია „სუფთა წყალი“
10. ასოციაცია „ჭიათურელთა კავშირი“
11. ასოციაცია „ფლორა და ფაუნა“
12. ახალგაზრდები მთისთვის
13. ახალგაზრდული ცენტრი „ილუმინატორი“
14. ახალგაზრდული ცენტრი „პროგრესი“
15. ახალი სამოქალაქო აზროვნება +
16. ახალი ჰორიზონტი
17. ახალქალაქის ადგილობრივი განვითარების ჯგუფი (LAG)
18. ბიოლოგიურ მეურნეობათა ასოციაცია „ელკანა“
19. ბუნების დაცვის მსოფლიო ფონდის კავკასიის წარმომადგენლობა
20. ბუნების კონსერვაცია საქართველო
21. გავიგუდეთ
22. განათლების და განვითარების ცენტრი „თოლისკური“
23. განათლების და განვითარების ცენტრი „მაკრონი“
24. გარემო
25. გარემოს დაცვა, საზოგადოება, სამართალი
26. გარემოს დაცვის და მდგრადი განვითარების ხელშემწყობი კავშირი
27. გარემოსდაცვითი ორგანიზაცია „ეკო“
28. გუდამაყრის სათემო კავშირი
29. გურიის სამოქალაქო ცენტრი
30. დედები სიცოცხლისთვის
31. დემოკრატიული კავშირი „მტრედი“
32. დიდაჭარის ამაგი

33. დიღმის ჭალები
34. ეკო-ტრანსპორტ ცენტრი
35. ეკოლოგიური ბიომონიტორინგის ასოციაცია
36. ენერგოეფექტურობის ფონდი
37. ენერგოეფექტურობის ცენტრი საქართველო
38. ვაშლოვანის დაცული ტერიტორიების მეგობართა ასოციაცია
39. ველური ბუნების დაცვის საზოგადოება „ჭაობი“
40. თანადგომა მომავალი წარმატებისთვის
41. იმერეთის მხარის მეცნიერთა კავშირი „სპექტრი“
42. კავკასიის გარემოს დაცვითი არასამთავრობო ორგანიზაციების ქსელი CENN
43. კავკასიის რეგიონული გარემოსდაცვითი ცენტრი
44. კავშირი ბიონერგია
45. კავშირი „შუამთა“
46. კავშირი „ნაფარეული“
47. კავშირი „სამყარო“
48. კავშირი „სოციუმი“
49. არასამთავრობო ორგანიზაცია „კახეთი“
50. მდგრადი განვითარების რეგიონული ცენტრი
51. მთის განვითარების ცენტრი
52. მსოფლიო გამოცდილება საქართველოსთვის
53. მტირალას და მაჭახელას დაცული ტერიტორიების მეგობართა ასოციაცია
54. მწვანე ბორჯომი
55. მწვანე ველი
56. მწვანე ნაბიჯი
57. მწვანე პოლუსი
58. მწვანე რეგიონები
59. მწვანე ხაზი
60. ნართა
61. არასამთავრობო ორგანიზაცია „ოცხე“
62. ჟურნალისტები ბორჯომის ხეობის გადასარჩენად
63. რეგიონალური განვითარების და სოციალური დახმარების ცენტრი
64. საზოგადოება ბუნების კონსერვაციისთვის „საბუკო“
65. საზოგადოებრივი განვითარების ახალციხის ცენტრი
66. საზოგადოებრივი მოძრაობა მწვანეები
67. სათემო ორგანიზაცია კავშირი „ბორჯომი“
68. სათემო ფონდი „ნეფა“
69. საინიციატივო ჯგუფი ცვლილებებისთვის

70. სამოქალაქო აქტივობის ცენტრი
71. სამოქალაქო აქტივობისა და თანასწორობის ცენტრი
72. სამოქალაქო განვითარების ახალგაზრდული ცენტრი
73. სამოქალაქო საზოგადოება მდგრადი განვითარებისთვის
74. სამცხე-ჯავახეთის რეგიონალური გარემოსდაცვითი კავშირი „ეკოდახა“
75. საქართველოს ახალგაზრდა ენერგეტიკოსთა ასოციაცია
76. საქართველოს ბუნების მკვლევართა კავშირი „ორქისი“
77. საქართველოს ეკოტურიზმის ასოციაცია
78. საქართველოს ველურ მცენარეთა კონსერვაციის ასოციაცია
79. საქართველოს მწვანეთა მოძრაობა “დედამიწის მეგობრები”
80. საქართველოს სამოქალაქო საზოგადოების ასოციაცია (ACSDG)
81. საქართველოს ფერმერთა სახლი
82. საქართველოს ცხოველთა დაცვისა და გადარჩენის საზოგადოება
83. სახეობათა კონსერვაციის სამეცნიერო კვლევითი ცენტრი NACRES
84. სოფლად თემთა განვითარების სააგენტო
85. ტერრა
86. ფერმერთა ასოციაცია (არარეგისტრირებული სათემო გაერთიანება)
87. ქალები ჭიათურის მომავლისათვის
88. ქალთა ორგანიზაცია - კავშირი „ფაროსი“
89. ქალთა საინიციატივო ჯგუფი “დეკა”
90. ქალთა საინიციატივო ჯგუფი „ლომისი“
91. ქვემო ქართლის საზოგადოებრივი საინფორმაციო ცენტრი
92. ქვემო ქართლის ქალთა ორგანიზაცია “ერთობა“
93. ქუთაისის საინფორმაციო ცენტრი
94. ღორჯომის ამაგი (არარეგისტრირებული სათემო გაერთიანება)
95. ყაზბეგის ეროვნული პარკის მეგობართა ასოციაცია
96. შავი ზღვის ეკო აკადემია
97. ჩემი ქალაქი მკლავს
98. ჩვენ - ჯანსაღი მომავლისათვის
99. ცხოველთა დახმარების, უფლებების დაცვისა და რეაბილიტაციის ორგანიზაცია

WFD

CSD CONSULTING

UKaid from the British people

საქართველოში კლიმატის ცვლილების და გარემოს
დაცვის სფეროში მომუშავე სამოქალაქო საზოგადოების
და სათემო ორგანიზაციების გამოწვევების, **საჭიროებების
და განვითარების შესაძლებლობების შეფასება**